[illegible]

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ყოველდღიური გაზეთი

# კომუნისტი

თბილისი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, კრუზენშტეინის ქუჩა, № 4. ტელეფონები საერთო—დილისა 14—76. სტამბის—ღამისა—79.

რედაქცია ღიაა ყოველ დღე დილის 10-დან 1 ს. კორესპონდენციები და მასალები მიიღება მთელი დღე.

ოთხშაბათი. 11 მაისი. 1921 წ.

№ 56 საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტის და საქართვ. რევ.-კომიტეტის ორგანო. № 56

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გურიის ამბები

შეიძლება თამამად ითქვას, რომ არსად დღეს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მენშევიკებს ისე არ მოუკალათებიათ და არ მუშაობენ, როგორც გურიაში.

აქ გადაიტანეს მათ მთელი სამოქმედო აპარატი და საძაგელი, ყოვლად დაუშვებელი და მოურიდებელი საშუალებებით დაუწყეს ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების გამტკიცებას.

არავინ იფიქროს, რომ მენშევიკები მოუხერხებელი ან მორცხვი ხალხი იყოს; პირიქით მათ თუ მიახერხეს და საშვალება მიეცით—არავის დაინდობენ,—ყველაფერს ჩაიდენენ, მოაწყობენ და კაინის სიცილით ზურგში ჩაგასობენ დაშხამულ მახვილს. ასეთი იყვნენ ისინი წინად, ასეთი არიან ეხლაც. თითქმის მთელი გურია დღეს პროვოკაციის ქსელშია გახვეული და ვინ იცის რა ჭორებს, რა სიყალბეს და დაშინებას არ მოუკიდია აქ ფეხი.

მენშევიკებმა დააშინეს მშრომელი ხალხი: ისინი შეეცადენ დაერწმუნებიათ ხალხი, რომ დღეს თუ ხვალ ინგლისის ჯარი ბათომს მოადგება, ბრძოლა გაიმართება, ყველაფერი წაილეკება და ბოლშევიკების მომხრენი ან მათ სამსახურში მყოფნი სასტიკად დაისჯებიანო.

ეს არის უდიდესი ღალატი გურიის ხალხის წინაშე; ეს არის ისეთი პროვოკაციის გადასროლა, რომელსაც შეიძლება ძალიან ცუდი შედეგები მოყვეს.

ამით სურთ ერთხელ კიდევ მოატყუონ ხალხი და ანკესზე წამოაგონ ზოგიერთი შეუგნებელი პირები, რომლებიც ნებსით და უნებლიეთ ჩაიდენენ მიუტევებელ შეცდომებს.

ერთხელ და სამუდამოთ უნდა შეიგნოს ყველამ, რომ საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ ევროპიდგან ვერ მოვა ვერც ერთი ჯარის კაცი ანტანტისა და სისხლში ვერ ჩაახრჩობს საქართველოს მშრომელი ხალხის მიერ მოპოვებულ თავისუფლებას. ვერ მოვა მიტომ, რომ ევროპის მთავრობებს თითონ უჭირთ და არ იციან როდის იქნებიან გადმოგდებული თავიანთი მუშების მიერ.

ვერ მოვა მიტომ, რომ საქართველოს პროლეტარიატი ნებას არ მისცემს მას გადმოსხას ჯარი და ფეხი დასდგას ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

მენშევიკებმა უნდა იცოდენ, რომ მათ ბატონობას ბოლო მოეღო და ვერავითარი გარეშე ძალით ვერ შესძლებენ ძველი დროს დაბრუნებას.

მათ უნდა შეიგნონ, რომ მშრომელი ხალხის მოტყუება და ცრუ ხმებით კვება არაა სასარგებლო არავისათვის და პირველ ყოვლისა თვით მენშევიკებისათვის.

და სანამდი მათ ეს არ შეუგნიათ, სანამდის ისინი განაგრძობენ ბნელ მუშაობას და მტრულ მოქმედებას, მანამდის მათი მოღვაწეობა განყენებულ და დაშორებულ უნდა იქნას ხალხისაგან.

გვებრძოლეთ სიმართლით, კრიტიკით და პატიოსანი საშვალებებით!

ლიუდოვიკ მეთექვსმეტეს გასამართლების დროს ერთმა მსაჯულთაგანმა განაცხადა: სიკვდილი რომ არ არსებობდეს—ამ შემთხვევისათვის ის უნდა შეექმნათო.

ჩვენ სიკვდილით არავის ვემუქრებით, მაგრამ მათი იზოლიაციის საშვალება რომ არ არსებულიყო—ამ შემთხვევისათვის ის უნდა გამოგვეგონებია.

## მცირე შენიშვნა

მკითხველი შეამჩნევდა, რომ ჩვენს გაზეთში დრო გამოშვებით თავსდება „წერილები რედაქციის მიმართ“, რომლებშიაც დღევანდლამდე ჩვენს მოწინააღმდეგე ბანაკებში მოკალათებული პირები საჯაროდ აცხადებენ, რომ ეხლა საბოლოოდ გამოერკვნენ და გადმოდიან კომუნისტურ პარტიაში, სცნობენ რა მას მშრომელ მასების ინტერესების ერთად ერთ დამცველად, და მზად არიან მთელი თავისი ძალ-ღონით ემსახურონ მას. სრულებით ბუნებრივი და დასაშვებია, რომ ესა თუ ის პირი დროთა მსვლელობაში იგნებს თავის შეხედულებების და პრაქტიკულ პოლიტიკის სიყალბეს და ჭეშმარიტ გზას ჰპოულობს. ასეთ გარდატეხას აზროვნებასა და მოქმედებაში შეგვიძლია მხოლოდ მივესალმოთ. როდესაც მუშათა კლასი, განსაკუთრებით მისი ქვედა ფენები, გაუგებრობით და გარემოების წყალობით მენშევიკების ბანაკში მოხვედრილნი, კომუნისტურ პარტიას ეტანებიან, ეს ჩვენ გვესმის: მისი დღევანდელი ცხოვრების გაუმჯობესება და ახლო მომავალი ბედნიერება ამ პარტიასთან განუყრელადაა დაკავშირებული. მაგრამ სხვანაირია მდგომარეობა მენშევიკების იმ აგენტებისა, პროპაგანდისტ აგიტატორებისა, რომელნიც ამდენ ხნის განმავლობაში სწამლავდნენ მუშათა კლასის სულს, აბნელებდნენ მისი კლასიურ თვითცნობიერებას, ოპორტუნიზმის ჭაობში ახრჩობდნენ, ბურჟუაზიასთან თანამშრომლობას ჩასჩიჩინებდნენ. ეს ხალხი არასოდეს ყოფილა გატაცებული მაღალი იდეალებით; ლაქიები იყვნენ მენშევიკების, მედროვენი და კარიერის მაძიებელნი. და როდესაც მიაღწევდნენ მიზანს, თბილ ადგილებს იშოვნიდნენ, მაშინ მშრომელი ხალხის ჭირ-ვარამი აბა ვის გაახსენდებოდა. ასეთი და მსგავსი ვაჟბატონების მიღება პარტიაში დასცემდა უკანასკნელის პრესტიჟს და დიდათ მავნებელი იქნებოდა. ზედმეტია ლაპარაკი მათ მიერ რწმენის გამოცვლაზე; ისინი მხოლოდ კარიერის, სამსახურის მაძიებელნი არიან. ამისთანა ხალხისთვის კომუნისტური პარტიის კარები მაგრად უნდა იყოს გადარაზული. თუ გ. ზინოვიევი პარტიის მე 10 ყრილობაზე ამბობდა, კომუნისტური ინტერნაციონალის კარებთან უნდა დავაყენოთ საიმედო დარაჯი, რომ მტერი არ შემოგვეპაროსო, ჩვენ, ურიცხვი მტრებით გარშემორტყმულებს, ასეთი სადარაჯოს მოსაწყობად ნაკლები საფუძველი არა გვაქვს. არაფერს შეუძლიან პარტიას ისე დიდი ზიანი მიაყენოს, როგორც შიგნით საეჭვო ელემენტების გაჩენას.

კან.

## რუსეთის კომუნისტური პარტიის მე-10 ყრილობა

**ამხ. ბუხარინის მოხსენება პარტიულ აღმშენებლობის შესახებ.**

ბუხარინი. მე არ მინდოდა აქ თეზისების მოყვანა, რადგან ისინი დაბეჭდილია და ვფიქრობ, თავისი სიტყვებით მათი გადმოცემა საჭირო არ არის, მე დარწმუნებული ვარ, რომ, თუმცა ეს თეზისები დაგვიანებით დარიგდა, მაგრამ მაინც წაკითხული გექნებათ. ჩემის აზრით, უფრო მიზანშეწონილი იქნება, თუ მოხსენებაში გავაშუქებთ ამ თეზისების ზოგიერთ ძირითად მუხლებს და ყურადღებას მივაქცევთ ზოგიერთი მთავარ, არსებითი თვალსაზრისს, რომლის მიხედვით უნდა გადაიჭრას პარტიული აღმშენებლობის პრობლემა მიმდინარე მომენტში, შემდეგ უნდა შევჩერდეთ იმაზედაც, რაც თეზისებში შეტანილი არ არის, სახელდობრ, შეხედულებათ, იმ სისტემის ერთგვარ კრიტიკაზე, რომელიც (შეხედულებათა სისტემა) წამოყენებული იყო პარტიის შიგნით არსებულ სხვადასხვა შეჯგუფებათა მიერ. თეზისებში აგრეთვე ვერ იპოვით ჩვენში არსებულ ფრაქციულ-პარტიულ შეჯგუფების განხილვას, ვერ ნახავთ მითითებას მთელ რიგ ძირითად შეცდომებზე, რომელიც მოეპოვება პარტიის შიგნით სხვადასხვა მიმდინარეობათა წარმომადგენლებს. მე მომიხდება შეჩერება საკითხის სწორედ ამ მხარეზე, რომელიც აქ, ყრილობაზე უნდა იქნეს გაშუქებული. ბოლოს, კიდევ ერთი შენიშვნა, რომლის გაკეთება უცილებელია და რომლიდან გამომდინარეობენ ზოგიერთი პრაქტიკული დირექტივები, სახელდობრ: ამ თეზისების შემუშავების დროს, ჩვენში ჯერ კიდევ არ იგრძნობოდა გადასვლა შინაგან ფრონტზე ისე მკაფიოდ და სიძლიერით, როგორც ეხლა. ამ გარემოებამ პარტიული ორგანიზაციის წინაშე წამოაყენა მთელი წყება მიზნებისა, უშვალოდ გამომდინარე იმ მეტად გამწვავებულ მდგომარეობიდან, რომელიც ეხლა შეიქმნა შინაურ ფრონტზე და რომელმაც აშკარა გამოხატულება ჰპოვა კრონშტადტის ამბებში. ამის შესახებ მოგვიხდება რამოდენიმე სიტყვის თქმა და ეს აუცილებლად უნდა მივიღოთ მხედველობაში თეზისების გადამუშავების დროს კომისიაში, რასაც მოვითხოვ მე, როგორც მომხსენებელი: აუცილებელი იქნება თეზისების ტექსტში შევიტანოთ დებულებათა მთელი რიგი, მთელი წყება პრაქტიკულ წინადადებისა, რომელნიც დაკავშირებულია შინაგან კრიზისის გამწვავების მომენტთან. მე აქ ვგულისხმობ ისეთ რამეებს, როგორც განსაკუთრებულ დანიშნულების რაზმი და სამხედრო პარტიულ აპარატების მთელი რიგი, რომელიც მოყვანილია წესრიგში და რომლის წინაშე წამოყენებულია ახალი მიზნების წყება. ეს თეზისები ზოგ ერთ ნაწილში მოძველებულია, რაც იმით აიხსნება, რომ ისინი დაწერილია იმ დროს, როდესაც ასე მკაფიოდ არ იყო გამოაშკარავებული შინაგანი კრიზისი ქვეყანაში და ის დიდი სოციალური გარდატეხა, რომელიც მოითხოვს პარტიისაგან ახალი საომარი მიზნების წამოყენებას.

მე პირდაპირ გადავდივარ თეზისებზე. ამ თეზისების შედგენის დროს ჩვენ გამოვდიოდით იმ დებულებიდან, რომ როგორც საორგანიზაციო ფორმები, ისე მუშაობის მეთოდები არ წარმოადგენენ უცვლელ რამეს, ერთხელ და სამუდამოდ მოცემულს. სწორედ რევოლიუციონური მარქსიზმის თვალსაზრისით არ შეიძლება ისეთი დებულების წამოყენება, რომ ესა თუ ის საორგანიზაციო ფორმა ან მუშაობის სათანადო მეთოდი არის საუკეთესო, ყველაზე უფრო მიზანშეწონილი და მისაღები ფორმა ყოველ ცალკე ისტორიულ მომენტში. ჩვენ იმ აზრისანი ვიყავით, რასაც საჭიროა ხაზი გაესვას, რომ ორგანიზაციის ეს ფორმები, ისევე, როგორც მუშაობის მეთოდებიც, დამოკიდებული არიან იმ მომენტზე, რომლის პირობებში პარტია მუშაობს და იმ მიზნებისაგან, რომლებსაც აყენებს ეს მომენტი. ეს ხომ საანბანო მარქსისტული ჭეშმარიტებაა, რომ, საზოგადოდ რომ ვილაპარაკოთ, არ არის საერთო უნივერსალური ფორმა, არამედ ყოველგვარი ფორმები და მეთოდები განისაზღვრება ყოველთვის სავსებით და გამოუკლებლივ მიმდინარე ისტორიულ მომენტით. მიუხედავად ამისა, ეს საანბანო ჭეშმარიტება არ ყოფილა საკმაოდ შეთვისებული მთელ რიგ ამხანაგების მიერ, რომელნიც შედიან ჩვენს პარტიაში. მე აქ შევჩერდები პარტიულ აზროვნების ორ მიმდინარეობაზე, რომელთაც არ ესმით საქმის სწორედ ეს მხარე. ამხ. იგნატოვის ხელის მოწერით გამოშვებულ თეზისებში, რომლებსაც მიემხრო ე. წოდებული „მუშური ოპოზიციის“ ჯგუფი, ის თვალსაზრისია გატარებული, რომ მუშური დემოკრატიის ფორმა არის ჩვენი პარტიული ორგანიზაციის მუდმივი ფორმა, მაშინაც კი, თუ ისტორია ჩვენს პარტიას საომარ მიზნებს დაუყენებდა, სულ ერთია, ეს ფორმა იქნებოდა პრინციპიალურად ყველაზე უფრო სწორი. ამ პლატფორმის მომხრეების ხელში იგი იღებს უნივერსალური ფორმის ხასიათს. მე ვფიქრობ, რომ ეს შეხედულება არა მარტო არამარქსისტულია, არამედ ამ შეხედულობას შეიძლება მოყვეს მეტად მძიმე შედეგები. გარდა ამისა, რაკი ამხანაგები ამ შეხედულობიდან გამოდიან, თავის თავად გასაგებია ის ღრმა სიძულვილი, რომელიც მათში ვრცელდება ჩვენი წინანდელი პარტიული განვითარებაზედაც ჩვენი საომარ ხანაზე. სრულიად ბუნებრივია, თუ პარტიულ პოლემიკაში, ეხება იგი პარტიულ აღმშენებლობას თუ სხვა საკითხებს, ისინი გაწყობილნი არიან კიცხონ პარტია, მუდმივ კიცხონ ც. კომიტეტი, სამხედრო მილიტარისტულ კურსისათვის, რომელსაც წარსულში ჰქონდა ადგილი. ისინი ვერ ურიგდებიან აზრს, რომ გარემოებათა და ისტორიულ პირობების შეცვლის დროს, რომლებშიაც მიმდინარეობს რევოლიუცია,—ჩვენმა პარტიამ ხელმეორედ უნდა შეაბრუნოს პარტიული პოლიტიკის კურსი. ეს დებულება მე მიმაჩნია პრაქტიკულად სწორედ, ვინაიდან ჩვენი პარტიული ორგანიზაციის ძირითადი ღირსება მდგომარეობდა პარტიულ ფორმების არა-ჩვეულებრივი მოქნილობაში. სწორედ იმაში, რომ ჩვენს პარტიას, ისტორიის შებრუნების დროს, შეეძლო 24 წამის განმავლობაში მოებრუნებინა მთელი პარტიული პოლიტიკის, თავისი საორგანიზაციო ფორმების და მუშაობის მეთოდების საჭე,—მდგომარეობდა ჩვენი პარტიული ორგანიზაციის მთავარი ღირსება. ჩვენს პარტიულ ორგანიზაციას, თუ შევადარებთ სხვა ქვეყნების პარტიულ აპარატებთან, ახასიათებს უდიდესი უნარი ისტორიულ ვითარებასთან შეგუებისა, რაც ფრიად საჭიროა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისტორია მიემართება არა პირდაპირი, გატკეპნილი შარა გზით, არამედ მიდის მოხვეული ბილიკებით, როდესაც საჭიროა უცაბედი გარდასვლების გაკეთება. და ეს არა მარტო, ტაქტიკის დარგში, არამედ მუშაობის ფორმების და მეთოდების განვითარებაშიც. მაშასადამე, ამის შეგნება არის სწორედ ის ძირითადი მოპოვება, რომელსაც, მე მგონია, ვერ გადაუხვევთ ოდნავადაც და რომელიც უნდა დაედვას საფუძვლად გადაჭრით ყველა ჩვენს დებულებებს.

ამას საჭიროა განსაკუთრებით გაესვას ხაზი, თუ ჩვენ შევადარებთ ამ ხაზს იმ თვალსაზრისთან, რომელიც მუშურ ოპოზიციის ჯგუფს საფუძვლად უდევს. ბოლოს, მეორე დებულება, პირველთან ახლოვე დაკავშირებული. მდგომარეობს შემდეგში: არ შეიძლება პარტიულ ორგანიზაციის ფორმების და მეთოდების მექანიკურად გადატანა სხვა აპარატებზე, რომლებიც იმყოფებიან მუშათა კლასის განკარგულებაში. მართალია, ის ისტორიული მომენტი, რომელიც საზღვრავს პარტიული ორგანიზაციის ფორმებს და მეთოდებს, უეჭველია, საზღვრავს აგრეთვე მუშაობის ფორმებს და მეთოდებს სხვა აპარატებისას, რომელნიც მუშათა კლასის განკარგულებაში იმყოფებიან,—პროფესიონალურ კავშირების, საბჭოთა აპარატების, აგრეთვე საზღვრავს ადმინისტრატიულ ტეხნიკურ, ადმინისტრატიულ ეკონომიურ ორგანოების და ნაწილობრივ სხვა ორგანიზაციების, მაგალითად არმიის, პოლიტიკურ ფორმულობასაც. მაგრამ ამავე დროს იქნებოდა უდიდესი, სრულიად გაუსწორებელი შეცდომა, თუ ჩვენი პარტიული ორგანიზაცია, ჩვენი პარტიის ყველა წევრები წარმოიდგენენ, რომ შესაძლებელია დაშვებულ იქნას მექანიკური გადატანა იმ ხაზისა, რომელიც ჩვენი პარტიისათვის მყარდება,—პროლეტარულ დიქტატურის სხვა აპარატების მიმართ, დაწყებული საბჭოთა ორგანოებით და ეკონომიური გამგებლობის ორგანოებით ან ჩვენი ლაშქრით გათავებული. მიუხედავად ამისა ეჭვს გარეშეა, საკმაოდ არ არის შეთვისებული ჩვენი ფრაქციულ შეჯგუფებათა ორი სახის, არც დემოკრატიულ ცენტრალიზმის, არც მუშურ ოპოზიციის მიერ.

მე მხოლოდ ორ რამეზე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას: პირველი, იმაზე, რომ, მაგალითად, დემოკრატიულ ცენტრალიზმის ჯგუფში, აგრეთვე მუშურ ოპოზიციაში არის ტენდენცია, მუშური დემოკრატიის ფორმის, როგორც უნივერსალურ ფორმის, მექანიკური გადატანისა საბჭოთა ორგანიზაციებზე, რაც დიდი შეცდომაა. ჩვენში საბჭოთა ორგანიზაციებმა ანგარიში უნდა გაუწიონ იმ ძირითად ფაქტს, რომელიც ეხლა საზღვრავს ყველ ფერს და რომელიც, განსაკუთრებით ამ ჟამად, გამწვავდა და აშკარა გახდა. სწორედ მიმდინარე მომენტში ეს ძირითადი ფაქტი არის კლასიური შეხამება და კლასიური დაყოფა ჩვენს ქვეყანაში, როდესაც მუშათა კლასი, როგორც დიქტატორული ხელისუფლება, მართავს ქვეყანას, მუშათა კლასი, რომელიც დიდი უმრავლესობით და საგრძნობი რაოდენობით დეკლასიური გახდა, ე. ი. განიცადა წვრილ ბურჟუაზიულ სტიქიის, გლეხობის გავლენა. მას აქვს თავისი აპარატები, თავის საბჭოთა ორგანოები, და ასეთები გავრცელებულია მთელს ქვეყანაზე, მათში მოქცეულია გლეხობის განსაზღვრული წრეებიც. ჩვენში არის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოები, და ჩვენ თვით კონსტიტუციაშიც სავსებით ცხადათ გვესმოდა, რომ ძალების ეს შეერთება, რომელიც რჩება ცოტად თუ ბევრად მუდმივი, მოითხოვს ჩვენგან, რომ წინდაწინ მივიღოთ ზომები ამ შრომის დემოკრატიზმის ფორმების წინააღმდეგ, რომელმაც მოუწყრო პროლეტარიატს გლეხურ მასსების გარეშე. თქვენ იცით, რომ თვით კონსტიტუციაში გლეხობის წარმომადგენლობა გაცილებით ნაკლებია პროლეტარიატის წარმომადგენლობასთან შედარებით, იგი ხელოვნურად შემცირებულია, ხოლო პროლეტარიატის რიცხვი ხელოვნურად გამრავლებული. ეს არის არა მარტო საერთოდ დემოკრატიზმის ფორმებზე დაშორება, არამედ დაშორებაა იმისაგანაც, რასაც ესერები ეძახიან შრომის ხელისუფლებას, ე. ი. დემოკრატიზმისაგან მშრომელთა მასსების შიგნით. ცხადია, რომ ეს სრულიად სწორი ღონის ძიებაა. თავისთავად იგულისხმება, რომ ეს ესერების შრომის ხელისუფლება უფრო მკაფიო ფორმით მაშინ უნდა გამოაშკარავდეს, როდესაც პროლეტარიატი წვრილ ბურჟუაზიულ გლეხობასთან შედარებით მეტად სუსტ ოდენობას წარმოადგენს. სწორედ ეხლა იჩენს თავს ეს გარემოება. იმ დროს, როდესაც წვრილბურჟუაზიული სტიქია უკიდურესობამდე გაძლიერდა, მუშათა კლასი, როგორც კომუნისტური ყოველგვარ აღმშენებლობის ძირითადი სოციალური ბაზა,—დასუსტდა სხვა და სხვა მხრით, და უწინარეს ყოვლისა როგორც კლასი, რომელიც განსაზღვრულ როლს ასრულებს წარმოებაში. მისი საგრძნობი ნაწილი სოფლებშია გაფანტული, მისი საუკეთესო ელემენტები შთანთქა ადმინისტრატიულმა აპარატმა, მოწინავე მუშების დიდი რაოდენობა დაიღუპა ფიზიკურად სამოქალაქო ომის პროცესში. მუშათა კლასის ფაბრიკებზე დარჩენილმა ნაწილმა, რომელიც თავის თავად თავისი სოციალური შემადგენლობით რამოდენიმედ გამოიცვალა,—განიცადა წვრილბურჟუაზიულ სტიქიის დამრღვევი გავლენა, მას დიდი კავშირი აქვს სოფელთან და საგრძნობლად გლეხობის ინტერესებს გამოხატავს. ყველაზე უფრო მთავარი ის არის, რომ დღეს პროლეტარიატი განიცდის არა მარტო სუსხს წვრილ ბურჟუაზიული სტიქიისას, არამედ ეს წვრილ-ბურჟუაზიული სტიქია პირდაპირ გადადის პროლეტარიატში, და ამაში მდგომარეობს ძირითადი საშიშროება. ამაზე ყურადღების არ მიქცევა და ძიება ამ თითქოს „სრულ“ შრომის ხელისუფლების ფორმებისა ნიშნავს,—სრულიად არ გვესმის, რომ ეს წარმოადგენს ყველაზე დიდ საფრთხეს. რომ პარტიამ ეს კურსი მიიღოს, მაშინ პროლეტარული დიქტატურა ერთ წამსაც ვერ გაგრძელდებოდა როდესაც უნდათ დემოკრატიზმის ფორმების ძთლიანად გადატანა საბჭოთა ორგანიზაციებზე, ცხადია, ამ საფრთხეს ანგარიშს სრულიად არ უწევენ. სწორედ ასევე, როდესაც მექანიკურად გადააქვთ მუშური დემოკრატიის ფორმები სამეურნეო მმართველობის ორგანოებზე, როგორც ამას სჩადის მუშურ ოპოზიციის ჯგუფი, ცხადია, რომ აქაც აგრეთვე არ უწევენ ანგარიშს ამ საშიშროებას, არ ითვალისწინებენ მთელ რიგ გარემოებათ, არ ითვალისწინებენ, პირველად, სხვა და სხვა საზოგადოებრივ ჯგუფებს, არ ითვალისწინებენ მუშათა კლასის პროლეტარულ ავანგარდსა და სხვა უფრო ჩამორჩენილ ნაწილებს შორის განსხვავებას. ეს ერთი. არ ითვალისწინებენ აგრეთვე განსხვავებას მთლიანად აღებულ მუშათა კლასს და მის ავანგარდსა, ერთის მხრივ, და წვრილბურჟუაზიულ კლასის მასსას შორის, მეორეს მხრივ. ეს მეორე. და, ბოლოს, არ იღებენ მხედველობაში სხვა და სხვა მიზნებს, რომლებიც სდგანან მუშათა კლასის სხვა და სხვა ორგანიზაციების წინაშე, თუ გინდ რომ გამოვყოთ სოციალური კლასიური შემადგენლობა.

(გაგრძელება ხვალ).

## საბჭოთა საქართველო

### გრუზროსტას დეპეშები

#### შაბათობა სამტრედიაში.

კომუნისტურ პარტიის წევრების და მათი კანდიდატების მიერ ქ. სამტრედიაში სადგურზე მოწყობილ იქმნა შაბათობა. დატვირთეს ათი პლატფორმა, გაზიდეს აუარებელი ნაგავი რკინის გზის რაიონიდან. შაბათობას დაესწრო 73 კომუნისტი. მუშაობა გაგრძელდა 3 ნახევ. საათს.

#### ბათომში.

**საგარეო ვაჭრობის განყოფილება.**

(დეპეშა). 7 მაისი. საგ. ვაჭრობის განყოფილება შეუდგა სხვადასხვა ხეტყის მასალის საზღვარ-გარეთ გაგზავნას. საგ. ვაჭრობის განყოფილების ვაჭრობას ხელს უშლის საზღვარ-გარეთთან რადიო კავშირის უქონლობა. იხილავენ ადგილობრივ რადიო-სადგურების გაძლიერების საკითხს.

#### საგ. ვაჭრობის განყოფილებათა გაერთიანება.

არსდება ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკათა საგ. ვაჭრობის შეერთებული განყოფილება ადმინისტრატიულ ცენტრად, რომელიც უხელმძღვანელებს ყველა სავაჭრო ოპერაციებს, იქნება ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის განყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დღეს ნომერში:

1 ივლისისთვის მოსკოვში იწვევენ წითელ პროფკავშირების საერთაშორისო კონგრესს.

იტალიაში მძვინვარებს სამოქალაქო ომი.

ირლანდიაში რევოლიუციონერებსა და ინგლისის ჯარებს შორის სასტიკი შეტაკებები სწარმოებს.

პრეზიდენტი ჰარდინგი ხალხთა ლიგის წინააღმდეგ.

ლლოიდ ჯორჯმა განაცხადა: ინგლისში სოციალისტური მოძრაობა თან დათან იზრდება და მოსალოდნელია მართვა გამგეობა სოციალისტებმა ჩაიგდონ ხელში.

---

ფილება. ბათომში იმუშავებს სავაჭრო აპარატი. რომელშიაც შევლენ ყველა ორგანიზაციათა წარმომადგენელნი. ეს აპარატი მიიღებს ამიერ კავკასიის მთელს ნედლ მასალას—და აწარმოებს ყოველივე საქმეს. საზღვარ გარეთ შესყიდული საქონელი განაწილდება სამთავე რესპუბლიკას შორის. [illegible]

## სურამი

[illegible]

სურამის 1 მაის. კომისია.

## ბორჯომი

[illegible] სახით. აგრეთვე ვესალმებით და ულოცავთ პროლეტარულ დღესასწაულს ჩვენ ძვირფას იდეურ ხელმძღვანელებს ამხ. ლენინს, რომელმაც გვ ჩვენა ჩვენ გზა საუკუნო მაისისა და ამხ. ტროცკის—წითელი ლაშქრის ფოლადის ბურჯს, რო-

მელიც იცავს და ატარებს ცხოვრებაში მე 3 ინტერნაციონალის იდეებს. გაუმარჯოს წითელ მხედარს, წითელ საქართველოსათვის მებრძოლს, რომელმაც გამოიჩინა თავისი ენერგიის სიძლიერე ამ ბრძოლაში. ამხ. შაუმიანის და ჯაფარიძის სახელობის ჯავშნიან მატარებლის № სადესანტო რაზმი, წითელ ლა- [illegible]

## [illegible]

[illegible]

## გლდანი

[illegible]

## თიანეთი

[illegible] სუფთა. საბჭოთა ხელისუფლების წყალობით, ნათქვამია რეზოლუციაში, ჩვენ ვსოფლიო პროლეტარიატთან ერთად გამოვალთ მსოფლიო ბურჟუაზიის წინააღმდეგ მე 3 ინტერნაციონალის დროშის ქვეშ.

---

# საზღვარ-გარეთ

### გრუზროსტას დეპეშები

## სამოქალაქო ომი იტალიაში

**ბათომი.** 6 მაისი. (დეპეშა). რომის გაზეთები სავსეა ცნობებით, იმის შესახებ რომ ძალიან გაძლიერდა ფაშისტებისა და კომუნისტების შეტაკება. იტალიაში ნამდვილი სამოქალაქო ომია. გლეხები ძლიერ აღელვებულნი არიან ფაშისტების ექსცესებით და მთლიანად მხარს უჭერენ მუშებს, რომელთაც კომუნისტები წინამძღვრობენ. შეთანხმებულ სოციალისტების ყოველივე ცდამ, რომელიც მიმართული იყო ხოცვა-ჟლეტის შეწყვეტისკენ, ნაყოფი არ გამოიღო, იტალიის მრავალ ქალაქებში და დაბებში ფაშისტებმა გაანადგურეს კომუნისტების კლუბები, შრომის კამერები, წიგნთ საცავები, მოსპეს ავეჯი, მიწერ-მოწერა და დოკუმენტები. ფაშისტები ფართოთ სარგებლობდნენ ავტომობილებით, რომლის წყალობითაც ადგილიდან ადგილზე სასწრაფოთ გადაჰყავდათ დასჯელი რაზმები. მრავალია მოკლული, რომელთა შორისაც არის გამოჩენილი კომუნისტი—მუშა მალინინი, მოკლულია აგრეთვე რამდენიმე ბავშვი. გლეხები უსაფრდებოდენ ფაშისტებს და ხშირად მათ ავტომობილებში ყუმბარებს უშენდნენ. სამოქალაქო ომის მთავარი ბუდე ფლორენცია, ბოლონია და მათი მიდამოებია.

## ცეცხლი იზრდება ირლანდიაში

**ბათომი.** 7 მაისი, (ტელეგ.) ლონდონიდან მიღებული ცნობებით, ირლანდიაში მომხდარი ამბები მწვავე ხასიათს ღებულობს. ერთდროულად დაიწყო ირლანდიის სინფეინერების გამოსვლა დუბლინში. ყუმბარა ესროლეს ჯარისკაცებით სავსე საბარგო ავტომობილს. ჯარისკაცებმა სროლითვე უპასუხეს, ორივე მხრივ დიდი ზარალია. პანიკის დროს რამდენიმე გამვლელი ფეხ ქვეშ გასრისეს. ქალაქში (დამახინჯებული).. დამსჯელი რაზმები შეუწყვეტლივ, უშენდნენ ზარბაზნებს, ქალაქს სხვა და სხვა უბნებს. ბევრი სახლი და მაღაზია დანგრეული და დამწვარი. მცხოვრებნი იძულებული გახდნენ ქალაქიდან გასულიყვნენ. რევოლიუციონერებმა ცეცხლის ალს მისცეს შენობები. რკინის გზის ხაზზე შეჯახების შ შის გამო, პოლიც. ჰკეტავს, ბაზრებს და სავაჭრო მიდნებს.

## ბრისხანე ღრუბლები კაპიტალისტურ ქვეყნის თავზედ

**მოსკოვი** 9 მაისს (რადიო) უკვე ხუთ კვირაზე მეტია რაც, ინგლისში მაღაროებში მომუშავეთა საერთო გაფიცვა გრძელდება. რკინის გზელთა და ტრანსპორტის მუშათა მეთაურობის გამცემლობის მიუხედავათ მაღაროებში მომუშავენი მტკიცედ სდგანან და არავითარ შეთანხმებაზე არ მიდიან. მაღაროში მომუშავეთა გაფიცვა გრძელდება და მთელი საწარმოვო ცხოვრება მიიშალა. ინგლისის რკინისგზელთა და ტრანსპორტის მუშათა მასსებს შორის იზრდება სურვილი მაღაროში მომუშავეთა დახმარებისა. ბრისტოლში ნავთსადგურის მუშები გაიფიცნენ, ვინაიდან ზღვის ნავთსადგურში მოვიდა უცხოელთა ქვანახშირით დატვირთული გემები. საფრანგეთის, ბელგიის, ჰოლანდიის და გერმანიის სატრანსპორტო მუშებმა დაადგინეს: წინაღუდგნენ ინგლისში ქვანახშირის გატანას. მეზღვაურთა კავშირმა შეერთებულ შტატებში გამოსცა ბრძანება გაფიცვის შესახებ, რომელიც 300,000 მეზღვაურის მუშაობას შეაჩერებს. ამერიკელ მეზღვაურთა გაფიცვა ხელს უშლის ევროპაში ქვანახშირის შეზიდვას. სილეზიაში პოლონელთა მოძრაობა დაიწყო. რკინის გზაზე მიმოსვლა შეწყდა. ამიტომ სილეზიიდანაც შეუძლებელია ნახშირის გატანა. ამასთანავე მოკავშირეთა ახალ მოთხოვნილების საპასუხოდ ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის მუშათა შორის მუშაობას ანახლებენ „მოქმედების კომიტეტები“, რომელნიც მოუწოდებენ მუშებს საყოველთაო გაფიცვა დაიწყონ, რათა ხელი შეუშალონ კაპიტალისტთა კავშირს გერმანულ ოლქების დაკავებაში და ახალი ომის დაწყებაში. მუშათა მოძრაობა აღმოსავლეთში ფართოვდება და თანდათან მტკიცდება.

## ინგლისის ნახშირის მაღაროებში მომუშავეთა გაფიცვა

**ლიონი.** 6 მაისი. (რადიო). ნახშირის მაღაროებში მომუშავეთა 11 საოლქო საბჭოს წარმომადგენლებმა ერთხმად დაადგინეს არ წავიდნენ არავითარ კომპრომისზე. მუშათა პარტიის საპარლამენტო ლიდერებმა გამოაქვეყნეს მანიფესტი, რომლითაც მუშათა ორგანიზაციებს მოუწოდებენ მონაწილეობა მიიღონ ნახშირის მაღაროებში მომუშავეთა ოჯახების სასარგებლოთ გამართულ ხელის მოწერაში. ნახშირის მაღაროებში მომუშავეთა ბავშვების დამხმარე ფონდმა 19 000 გირ. სტერლინგს მიაღწია. მაღაროს მეპატრონეთა მოსამსახურეები შეიცვალენ (დასასრული არაა მიღებული).

## მღელვარება ინგლისის ფლოტში

**ლონდონი.** 8 მაისი, (რადიო). თემთა პალატაში მუშათა პარტიის წევრმა შეკითხვა შეიტანა, მართალია თუ არა ხმები, იმის შესახებ, რომ გემებზე და ნავსადგურში დაატუსაღეს 1300 მეზღვაური? სამირბაროს სტატს სეკრეტარიატმა უპასუხა, რომ საზღვაო სამართლის ჯარისკაცების ბათალიონმა, რომელიც შეცდომაში იყო შეყვანილი ცრუ ხმებით, თითქოს მათი დახმარებით უნდა ჩაექროთ მაღაროში მომუშავეთა გაფიცვა, კოლექტიური პროტესტი განაცხადეს. პორტსმუტის ბარაკებში ორმა უცნობმა წითელი დროშის გამოკიდება სცადა.

## ლოიდ-ჯორჯი სოციალისტური მოძრაობის ზრდის შესახებ

**ლონდონი.** 28 აპრ. ინგლისურ გაზეთებში მოთავსებულია ლოიდ ჯორჯის შემდეგი სიტყვა: „მუშათა პარტიისა და საერთოდ სოციალისტური პარტიების მთავარი მიზანია საზოგადოების სოციალური აღმშენებლობის მიხედვით დაყოფა სხვადასხვა ჯგუფებით და ნაწილებათ და სრული განსხვავებათ შეტანა ძველი პოლიტიკური გადაჯგუფებაში. იმპერია განსაცდელის წინაა და ამ უბედურებისაგან ის უნდა ვიხსნათ. თუ ვინმეს ოდნავ ეჭვი შეაქვს ამ მოსალოდნელ საფრთხის სინამდვილეში, მე მას ვურჩევდი გადაიკითხოს მუშათა გაზეთები და ის ნათლად დარწმუნდება, რომ სოციალიზმი ძირიანათ ანგრევს ყოველივე იმას, რაც კი დღემდე ძველ პარტიების დიად მეთაურთ შეუქნიათ. არ უნდა დავმალოთ, რომ დღეს მუშათა პარტია დიდს და პირველ-ხარისხოვან ძალას წარმოადგენს. ანგარიში უნდა გავუწიოთ იმ გარემოებასაც, რომ ხალხი ფაქტიურად სოციალისტების მხარეზეა. თუ არჩევნებში სოციალისტებმა გაიმარჯვეს, მაშინ ისინი უსათუოდ საზოგადოების შიგ შუა-გულში შეიჭრებიან და საზოგადოებრივი მართვა-გამგეობის სათავეს ფაქტიურათ ისინი ჩაიგდებიან.

## ჰარდინგის აზრი

**სტამბოლი** 29 აპრილი ამერიკის პრეზიდენტმა, ჰარდინგმა ხალხთა ლიგის შესახებ შემდეგი განაცხადა: „ჩვენ უნდა განუცხადოთ მთელ ქვეყნიერებას და კერძოთ ამ ომში ჩვენს მოკავშირეებს, რომ ჩვენგან ხალხთა ლიგა განმტკიცებას ვერ მიიღებს. ცხადია, რომ ხალხთა ლიგის პირვანდელი მაღალი დანიშნულება სრულებით მოისპო, რადგან რომ მან თავისი თავი დაუკავშირა საზ ვო ხელშეკრულებას და გამარჯვებულთა ხელში ძალდატანების იარაღად გარდაიქცა. სრულებით არ არის მიღებული ის ძირითადი მიზანი, რომლის მიღწევას ფიქრობდნენ ამგვარი გაერთიანებით და ვერც მიაღწევენ, სანამ გაერთიანება დაკავშირებულია რომელიმე გარკვეულ ხელშეკრულებასთან, ან სანამ მას იძულებულს ხდიან ემსახუროს რომელიმე ერის, ან ეროვნულ ჯგუფების კერძო ინტერესებს.

ჩვენ უარვყოფთ ლიგას და ვაცხადებთ რა ამას მთელი ქვეყნისა და ჩვენი ხალხის საყურადღებოთ. ამით არა ვსპობთ ჩვენ იმედებს და წინანდებურათ ვესწრაფით შეკავშირებას ზავის საქმეების ხელშესაწყობად. ამ ასსოციაციის ჩვენ გულითადი სიხარულით შევუერთდებოდით. ჩვენ დაკისრებული გვ ქვს ვალდებულება ევროპის დასამშვიდებლად, თვით ომშიც რომ მიგვეღო მონაწილეობა, მაშინაც იმაზე მეტი მოვალეობა არ დაგვეკისრებოდა, რასაც გვაკისრებს ეხლა ომის შედეგები.

---

# მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

### დეკრეტი № 31.

**საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტისა.**

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონურმა კომიტეტმა დაადგინა:

1. ყოველმა ყოფილმა სამოქალაქო სააღრიცხვო დაწესებულებამ დაუყონებლივ უნდა წარუდგინოს საგუბერნიო, საოლქო და სამაზრო სამხედრო კომისარიატებს სიები იმ მოქალაქეთა, რომელნიც დაბადებული არიან 1901 და 1902 წ. წ. და სამხედრო საბეგარო უბნებში ირიცხებიან.

ყოველი საგუბერნიო, საოლქო და სამაზრო სამხედრო კომისარიატი, სამხედრო და საზღვაო საქმეთა კომისარიატის შტაბის ხელმძღვანელობით, უნდა შეუდგეს ზემოხსენებული წლოვანობის მოქალაქეთა ჯარში გასაწვევი სიების დამზადებას და მიიღოს წინასწარი ზომები ახლო მომავალში სამხედრო ბეგარის საუკეთესოდ განხორციელებისათვის.

2. საქართველოს ს. ს. რ. მოქალაქეთა აღრიცხვა 18-დან 40 წლამდე, ვიდრე ამის შესახებ ახალი წესები არ იქნება გამოცემული, უნდა სწარმოებდეს ძველი წესების თანახმად.

3. სამხედრო ბეგარის მოსახდელათ უნდა გაწვეულ იქნეს საქართველოს ს. ს. რ. ყოველი მოქალაქე აღნიშნული წლოვანებისა, რომელიც კი სცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე, მიუხედავათ ეროვნებისა და სარწმუნოებისა.

**შენიშვნა:** 1) მუსლიმანი მოქალაქეთა აღრიცხვა და ჯარში გაწვევა მოხდება განსაკუთრებული წესით, რომელიც დამატებით იქნება გამოცხადებული.

2) დუხობორები და მოლოკნები ზურგის დაწესებულებათა სამუშაოზე იქნებიან დანიშნულნი

4. სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან უნდა განთავისუფლებულ იქნენ მხოლოდ: ა) ფიზიკური ნაკლისა და ავადმყოფობის გამო და ბ) მასწავლებელნი და მოსწავლენი განსაკუთრებულის წესით, რომელიც ცალკე იქნება გამოცხადებული.

არავის არავითარი შეღავათი არ მიეცემა, არც ოჯახობრივი და არც სხვა განსაკუთრებული მდგომარეობის გამო.

---

# შრომის ნაყოფიერება

საერთაშორისო ომიანობამ დაანგრია მთელი ევროპის მეურნეობა: ცხოვრების საშინელი გაძვირება უსაჭიროესი ნივთების, სურსათ სანოვაგის ნაკლებობა, უკიდურესი ეკონომიური კრიზისი, აი უმთავრესი შედეგები საერთაშორისო ომიანობის. საერთაშორისო ომიანობა გამოიწვია ეკონომიური მიდრეკილებათა წინაალმდეგობამ. ევროპის მრეწველობა, განსაკუთრებით გერმანიის მრეწველობა ისე გაიზარდა, რომ ევროპის ბაზარს აღარ შეეძლო მოხმარება და მონელება მრეწველობის ნაწარმოებისა. აუცილებელი შეიქნა ახალი ბაზრების მოპოება, განსაკუთრებით ევროპის გარეშე. ბაზრების ძიება საერთო მიდრეკილებაა დასავლეთ ევროპის უდიდესი სახელმწიფოების. ამ ძიებაში მოხდა შეტაკება ინტერესების. აშკარაა, მეტოქეობი, ეკონომიური ინტერესების შეთანხმება მოლაპარაკებით, დათმობით შეუძლებელი იყო, იარაღის შემწეობით არჩიეს საკითხის გადაწყვეტა. ძალას უნდა დაედო მკვავრი ეკონომიური დავაში. ძალა—სახელმწიფო მისი შეიარაღებული ძალები ყოველთვის იკავდა მესაკუთრეს, ძლიერ მესაკუთრეს, კაპიტალის მქონეს.

საერთაშორისო ომიანობამ ვერაფერი ვერ გადასწყვიტა. რიგი სახელმწიფოების დამარცხდა (გერმანია, უნგრეთი და ავსტრია, ოსმალეთი), რიგი გამარჯვებული დარჩა (ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, ამერიკა). ომიანობამ ვერ მოსპო ეკონომიური მიდრეკილებათა წინააღმდეგობა. მოხდა მხოლოდ გადაჯგუფება, გერმანიას პირდაპირ ახჩობს გამარჯვებული ევროპა. გერმანიას უძლიერეს მტერს, მიესია ყველაფერი სასტიკი წინააღმდეგობა ეკონომიური მიდრეკილებათა ღრმაჩნდა ომის შედეგად ცვლილება მხოლოდ იმა-

ში, რომ ომიანობამ დაუტოვა ევროპას სრულიად გაძარცვული დანგრეული მეურნეობა. ომიანობამ გაანიავა ეროვნული სიმდიდრე, რომელიც დაგროვებული იყო რამდენიმე ათეული წლობით, აი მაგალითები: ინგლისმა დაკარგა ომიანობის დროს 12,7% მთელი ეროვნული სიმდიდრისა, საფრანგეთმა მეოთხედი—25%, იტალიამ მეხუთედი 20 პროც., გერმანიამ კი—ნახევარი 50 პროც.

გაძარცვული მეურნეობა და განიავებული ეროვნული სიმდიდრე, მემკვიდრეობაა ევროპის.

დანგრეულ მეურნეობას, განიავებულ სიმდიდრეს უნდა აღდგენა. ეს შესაძლებელი არის განსაკუთრებული მუშაობით. მუშაობას კი ბევრი რამ უშლის ხელს. ომიანობამ არა ნაკლებ 25 მილიონი სულისა იმსხვერპლა. ზოგი ბრძოლაში დაიხოცა, ზოგი დასახიჩრებული და ავადმყოფი შეიქნა, უვარგისი მუშაობისათვის. ჯანმრთელი, საღი ნაწილი დაიღუპა. ვინც გადარჩა ომიანობას, არ იმსხვერპლა თოფმა და ზარბაზანმა, ან დასნეულდა: დაახიანა შიმშილმა, სიძვირემ, ათას გვარმა შევიწროვებამ, რომელიც დაჰყვა ომიანობას. ადამიანის არსება შეიცვალა, დადუნდა და შედეგი ყველა ამისა იყო ის, რომ დაეცა შრომის ნაყოფიერება.

დაბნეული განადგურებული სიმდიდრის და მეურნეობის აღდგენას სჭირდება შრომა. შრომის ნაყოფიერება კი ძლიერ დაეცა. მუშას აღარ შესწევს ის ძალა და შრომის უნარი, რომელიც მას წინეთ ქონდა, ის თითქოს ჯანმრთელია, მაგრამ ნამდვილათ კი ძლიერ სუსტი და ძლიერ მოდუნებული, მან დაკარგა უნარი მუშაობისა, ხალისი, შესაძლებლობა.

საფრანგეთში ცხოვრება ხუთჯერ გაძვირდა, ხელფასი კი ორჯერ. ინგლისში ომის დაწყებიდან 1918 წ. პირველ იანვრამდე ცხოვრება გაძვირდა 106 პროც., ხელფასი გაიზარდა 70 პროც.; გერმანიაში ცხოვრება გაძვირდა 120 პროც., ხელფასი გაიზარდა 50 პროც. იტალიაში ცხოვრება გაძვირდა 173 პროც. ხელფასი გაიზარდა 30 პროც. ცხოვრება გაცილებით უფრო გაიზარდა ვიდრე მუშის ხელფასი. ეს იმას ნიშნავს, რომ მუშის ხელფასი ძლიერ დასცილდა ცხოვრების მოთხოვნილებას და მუშას არ შეუძლია დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილებანი. მუშის ხელფასი იმდენათ არ შეესაბამება ცხოვრების სიძვირეს, ისე დაშორებული არის ხელფასი და უსაჭიროესი საგნების ფასები, რომ მუშა რჩება მშიერი, ტიტველი მუშა სანახევროთ მშიერი არის. ამერიკაში მუშა 44 პროც. თავისი მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს, ესე იგი მხოლოდ ნახევარს მოთხოვნილებისას აკმაყოფილებს. ამერიკა კი ომის შემდეგ სხვა სახელმწიფოებთან შედარებით ნაკლებათ დაზარალდა, მისი მეურნეობაც არ არის ისე დანგრეული როგორც ევროპაში. მიუხედავათ ამისა, მიუხედავათ უკეთესი პირობებისა, რომელშიც არის ამერიკის მუშა, იგი მაინც ძლიერ შევიწროვებული არის. შედეგი ასეთი მდგომარეობის? მუშას არ შეუძლია ნაყოფიერათ იმუშაოს, შექმნას ღირებულებანი. შევიწროვებული მუშა არ არის ისეთი მომქმედი, რომ ნაყოფიერათ იმოქმედოს. შრომის ნაყოფიერების შესუსტება პირდაპირი შედეგია ომიანობის. შრომის ნაყოფიერების შემცირებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელი მეურნეობისათვის.

საფრანგეთში, მაგალითად 1912 წ. ამოღებული იყო 41 მილიონი ტონა (ტონა 62 ფუთია) ნახშირი, 1914 წ. 22 მილიონი, 1915 წ.—19 მილიონი, 1916 წ.—21 მილიონი; 1917 წელში —28 მილიონი, 1918 წელში —29 მილიონი. მართალია ომიანობამ გაიწვია დიდძალი მუშა, მაგრამ ნახშირის დ მუშავების შემცირება ამით არ აიხსნება. მაღაროებში მუშაობდენ ტყვეები, მ ღებული იყო ლონისძიებანი მუშების ნაკლებობის წინააღმდეგ. მთავარი მიზეზი არის თვით შრომის ნაყოფიერების შემცირება.

ომიანობამ ბევრი მოსწყვიტა საქმიანობას და ამ მდგომარეობამ შეაფერხა წარმოება. ჩვენ კი ამ მიზეზს არ ვეძებთ, როდესაც ვლაპარაკობთ შრომის ნაყოფიერებ ზედ. შრომის ნაყოფიერება არის ის ძალი, ის უნარი, რომელიც ერთ განსაზღვრულ დროში ქმნის ღირებულებას ამ საზომს თუ მივიღებთ დავინახავთ დიდ ცვლილებას მუშის ნაყოფიერებაში. საფრანგეთში ნახშირის მაღაროებში მუშა დღეში ამზადებდა 1913 წ. 978 კილოგრამ ნახშირს ანუ 58 ფუთს. 1914 წ. შრომის ნაყოფიერება თითქმის არ შეცვლილა, იგივე მუშა ამზადებდა 975 კილო გრამს, შემდეგ თან და თან ჩნდება ომის გავლენა, ნაყოფიერება ეცემა და მუშაც ვეღარ ამზადებს იმდენ ნახშირს: 1915 წ. თითო მუშა დღეში ამუშავებს მაღაროში 856 კილოგრამს, 1917 წ.—870 კილოგრამს, 1918 წ.—827 კილოგრამს, 1919 წ.—740 კილოგრამს. რას ნიშნავს ეს ცნობები, რის მაჩვენებელნი არიან ისინი? ზემო მოყვანილი ცნობები, დამყარებულნი სანდო გამოკვლევაზედ, გვიჩვენებიან იმაზედ, თუ რა დამოკიდებულება არის შრომის ნაყოფიერებასა და იმ ცვლილებებს შორის, რომელიც ომიანობამ შექმნა მეურნეობაში. მუშა დაიმშა, დაიღალა, მისი ძალღონე მოდუნდა, დასუსტდა და იგი აღარ არის ის მუშა, რომელიც წინეთ იყო. საყურადღებო არის ერთი მოვლენა: ომიანობის გაგრძელებას, მეურნეობის ნგრევას ფეხდაფეხ მოყვება შრომის ნაყოფიერების შემცირება. 1919 წ. განსაკუთრებით აღმოჩნდა შრომის შემცირება. ამის მიზეზი ის არის, რომ მეურნეობის დანგრევა სავსებით გამოირკვა და მისი შედეგები გადაიშალა ომის დამთავრების შემდეგ. მეურნეობის ნგრევა არ შეჩერებულა ომის გათავებისთანავე, ომის დასრულების შემდეგ გამოირკვა რა დაკარგა კაცობრიობამ, რა სიმდიდრე გაანიავა. მ. ნ. 1919 წ. თითეული მუშა დღეში ამზადებს მხოლოდ 740 კილოგრამ ნახშირს. 1914 წ. თითო მაღაროს მუშა ამზადებდა 975 კილოგრამს, 1919 წ. 740 კილოგრამს, შრომის ნაყოფიერებას 24 პროც. დააკლდა. მაღაროს მუშების ნაყოფიერებას თითქმის ერთი მეოთხედი დააკლდა. ეს მეოთხედი ნაყოფიერების, რომელიც დაკარგა მუშამ, არის დაკარგული ღირებულება, ამ ღირებულების შექმნა მას შეეძლო სხვა პირობებში. ომიანობის შედეგებმა კი შექმნა ასეთი ახალი პირობები, რომლის მიხედვით მუშას აღარ შეუძლია მუშაობა ნაყოფიერად. შრომის ნაყოფიერების გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ ნაყოფიერება დაეცა ერთი მეოთხედიდან ერთი მესამედამდე. ესე იგი თუ მუშას ომიანობამდე 1914 წ. შეეძლო შექმნა ასი ფუთი რაიმე ღირებულების, 1919 წ. მას შეუძლია შექმნას მხოლოდ 70--75 ფუთი. დანარჩენი კი დაკარგული არის ხალხის მეურნეობისათვის. გერმანიის მუშა ომიანობამდე ამზადებდა 57 ფუთს ნახშირს 1919 წ. მხოლოდ 40 ფუთის, შრომის ნაყოფიერებას დააკლდა 17 ფუთი ყოველ დღიურათ ანუ მესამედი.

შრომის ნაყოფიერების შემცირება არის წმინდა ზარალი მეურნეობისა, ეს არის ის მიზეზი, რომელიც უმთავრესათ ხელს უშლის მეურნეობის აღდგენას. მაშასადამე, მშრომელი უნდა იქნეს ჩაყენებული ისეთ პირობებში, როდესაც მისი შრომის უნარი და შესაძლებლობა აღდგენილი იქნება. ეს იქნება მაშინ, როდესაც ის თავს დააღწევს შიმშილს, სიცივეს, სიტიტვლეს. მაშინ ის შექმნის იმდენ ღირებულებას, რამდენი ძალა და ხალისი დაუბრუნდება.

პროფ. ს. [illegible]

5. ჯარში და სამხედრო დაწესებულებებში და სამმართველოებში სამსახურის ვადა, ახალ დადგენილების გამოქვეყნებამდე, განისაზღვრება ორი წლით.

6. საბჭოთა დაწესებულებების ზოგიერთი კატეგორიის პასუხისმგებელი მომუშავეებისა და სახელმწიფო მნიშვნელობის დაწესებულებათა და წარმოებათა მუშა-მოსამსახურეების სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლების საკითხს გადასწყვეტავენ სათანადო საგუბერნიო სამხედრო კომისარიატებთან არსებული დროებითი თავისუფლების ვადის განსაზღვრის განსაკუთრებული კომისიები.

7. ამ დეკრეტის სისწორით ასრულებისა და მისი განვითარებისათვის სამხედრო და საზღვაო კომისარიატის შტაბი სათანადო განმარტებებს მისცემს სამხედრო ნაწილებსა და დაწესებულებათ.

8. დეკრეტი ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდ. ფ. მახარაძე.

სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარი შ. ელიავა.

1921 წ. აპრილის 29 ს.

ქ. ტფილისი—სასახლე.

## დეკრეტი № 29.

**საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტისა უცხო ქვეშევრდომების მიერ საქართველოს მოქალაქის უფლების მოპოების შესახებ.**

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქის უფლების მოპოება უცხო ქვეშევრდომების მიერ განისაზღვრება შემდეგი პირობებით:

1. ყველა უცხო ქვეშევრდომებს, რომელიც სცხოვრობს საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე, შეუძლიან მოიპოვოს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქის უფლება, რისთვისაც მან უნდა წერილობითი განცხადება წარუდგინოს სათანადო, თავის საცხოვრებელი ადგილის, რევოლიუციონურ კომიტეტს. განცხადებაში უნდა აღინიშნოს მისი წლოვანება, ოჯახური და ქონებრივი მდგომარეობა, ხელობა და აგრეთვე პასუხისგებაში ხომ არ ყოფილა იგი მიცემული საერთო სისხლის სამართლის დანაშაულისათვის და, თუ ყოფილა, როდის ან რანაირი მოქმედების გამო.

2. განმცხადებელის პიროვნება, უკეთუ არ ექნება მას საჭირო დამამტკიცებელი საბუთები, უნდა შემოწმებულ იქნეს საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სრულუფლებიან მოქალაქეთა მიერ.

შენიშვნა: საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქის უფლების მოპოების მიზნით განზრახ ყალბი ცნობების წარდგენისათვის დამნაშავენი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიიცემიან როგორც ყალბი ჩვენების მიმცემნი, და მოპოებული უფლებები მათ შეიძლება ჩამოერთვათ.

3. უკეთუ განცხადებაში აღნიშნული პირი სავსებით აკმაყოფილებს წინა მუხლების მოთხოვნილებათ, ადგილობრივი რევოლიუციონური კომიტეტი აძლევს მას სათანადო მოწმობას, დაწესებული ბეჭდის დასმით. დამამტკიცებელს იმისა, რომ მას მოპოებული აქვს საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქის უფლებები.

4. განსაკუთრებულ შემთხვევაში საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებათ შეიძლება მიღებულ იქნენ ის უცხო ქვეშევრდომნი, რომელნიც რესპუბლიკის გარეშე სცხოვრობენ. ასეთ პირებმა თავიანთი განცხადებანი უნდა გაუგზავნონ, უშუალოთ ან და საქართველოს რესპუბლიკის საზღვარ გარეთის ახლობელი დიპლომატიური წარმომადგენლის შემწეობით, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს, რომლის განკარგულებითაც სწარმოებს საქართველოს მოქალაქეებათ მიღებული უცხო ქვეშევრდომი პირების აღრიცხვა, მათი სიების საყოველთაოდ გამოქვეყნება და გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის საშუალებით ამის შესახებ ცნობის გაგზავნა იმ უცხო სახელმწიფოებისათვის, რომელთა მოქალაქეებად ითვლებოდნენ ისინი წინათ.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ბ. კვირკელია.

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი შ. გაბრიჩიძე.

## შეცდომის გასწორება.

№ 54 მოთავსებულ მიწად-მოქმედების კომისარიატის მესამე ცირკულიარის მესამე მუხლის ბოლოში დაბეჭდილია „მუშა, საქონელი“. კომისარიატის საადგილ-მამულო განყოფილება დაბეჯითებით გთხოვთ გაასწოროთ ეს შეცდომა. უნდა იყოს „მუშა საქონელი“ ეს შეცდომა სამწუხაროთ თქვენ იქნან დასაბეჭდათ გამოგზავნილ ფურცელშია დაშვებული.

საადგილ-მამულო განყოფილების გამგე. (ხელმოწერილია).

* * *

ზამთარი იდგა და არე-მარეს
წამოჰფენოდა შავი აჩრდილი,
ყველანი გრძნობდა თავის ბედს მწარეს
სუფევდა ირგვლივ სალათას ძალი.

ალარ ყვაოდა მინდორი, ველი,
ალარც ბულბულთა ისმოდა სტვენა,
ანადგურებდა ხალხს მტარვალთ ცელი
ჯოჯოხეთისა სურდათ აღდგენა.

სალი კლდე, მთები ძილს მისცემოდა
მაშვრალთ სამეფოს ცრემლი სდიოდა,
თავისი ხვედრით ყველა ბედს გმობდა
ბედნიერება კი შორს გაჰქიოდა.

სამშობლო ცაზე არ სჩანდა მთვარე,
ალარც ვარსკვლავნი, არც შუქი მზისა,
არ სჩნდა გმირი ხმალ მოელვარე,
კვნესა ისმოდა დედამიწისა.

მომავლისაკენ მიგვეპყრო თვალი
მტკიცე მძლე რწმენა როდი ქრებოდა,
გვჯეროდა ბრძოლით—მტარვალთა ძალი
ჰა, სადღაც იყო დაინთქმებოდა!..

და ეს იმედი, კვლავ ეს იმედი
ღვივოდა გულში გამარჯვებისა,
რომ გაჰქრებოდა დუხჭირი დღენი
და სულს მოჰფენდა სხივი შვებისა...

და ჰა, დროც დადგა, დაჰკრა საათმა,
ელვით და ქუხით განრისხდა ზეცა,
ჰა, მუქია ხორას ყალყზე უდგას თმა,
მოროტებისა ტახტი დაეცა...

დაეცა ტახტი... ჰა, ბრძოლის ცეცხლი
ირგვლივ მოედო მთელ არე მარეს,
გაანცამტვერა ოქრო და ვერცხლი,
ბოლო მოეღო წამებას მწარეს.

აჩქეფდა სისხლი, აძგერდა გული,
აღელდა ხალხთა გრძნობისა ზვირთი,
ტანჯულ-წამებულთ გაუზაფხულდა
უკვე დაჰყარეს მონობის ტვირთი.

დალეწილია დღეს ბორკილები
ცეცხლის სიტყვები ამხნევებს გულსა,
ბრძოლის ქარცეცხლში ამოზრდილები
ეგებებიან ნორჩ გაზაფხულსა.

წითელ ვარსკვლავი მკრთალი სხივებით
ამოკიატდა სამშობლო ცაზე,
იქარგავს გულ-მკერდს შვების სხივებით,
რომ ეს მოჰფინოს დედა-მიწაზე!..

გაზაფხული 1921 წ.

იონა ვაკელი.

◆ **ქართული პოეზიის დღე.** ქართველ მწერალთა კავშირმა ზეიმით იდღესასწაულა სახელმწიფო ოპერის თეატრში 7 მაისს თავისი ტრადიციული „პოეზის დღე“. დადგმულ იქმნა ნაწყვეტები: „თქმულება შოთა რუსთაველზე“-დან და „ლალიტიდან“. წარმოდგენის შემდეგ შედგა საზეიმო ყრილობა ქართველ მწერლების და პოეტებისა. შინაარსიან მოხსენებით პოეზიის და ხელოვნების მნიშვნელობის შესახებ გამოვიდა გრ. რობაქიძე. მოხსენების შემდეგ გამოვიდნენ ქართველი მწერლები თავიანთ ნაწარმოებით. თეატრის ფოიეში უფასოდ რიგდებოდა გაზეთი „პოეზიის დღე“.

◆ **რკინის გზით მიმოსვლა ერევანსა და ტფილისს შორის.** რკინის გზის უფროსმა მოახდინა განკარგულება, რათა ტფილისსა და ერევანს შორის ყოველ დღე მიდი-მოდიოდეს ორი სამგზავრო-საბარგო მატარებელი. მატარებელი № 384 რვა მაისიდან ტფილისიდან გავა დილის 10 საათსა და 15 წუთზედ, ერევანში მივა მეორე დღის ნაშუადღევს 4 საათზედ. ერევნიდან მატარებელი გამოვა ტფილისისკენ დილის 8 საათზედ.

◆ **ქალაქის სასურსათო კომიტეტის ცენტრალიზაცია.** ქალაქის სასურსათო კომიტეტის კოლეგიამ, ქალაქის სხვადასხვა ნაწილებში გაფანტულ, ქალაქის სასურსათო კომიტეტის საწყობის ცენტრალიზაციის მიზნით, დაავალა ამხ. ხიდირბეგიშვილს და ბრალს შესაფერი ბინა იშოვნონ ამ საწყობთა გასაერთიანებლად.

◆ **სასურსათო სახალხო კომისარიატში.** სასურსათო სახალხო კომისარიატის კოლეგიის დადგენილებით თანამდებობიდან განთავისუფლებულია იურისკონსულტი ამხ. ანანოვი, ვინაიდანი ის მიემგზავრება მოსკოვში.

◆ **კრახმალისა და კლეისტერის გაკეთება.** ქალაქის სასურსათო კომიტეტის კოლეგიამ მოისმინა ამხ. გვახარიას მოხსენება სიმინდისაგან კრახმალისა და კლეისტერის დამზადების შესახებ და დაადგინა ხელი შეუწყოს ამ პროექტებს: პრაქტიკულად განხორციელება ამ საქმისა მიენდოს ამხ. გვახარიას და შესყიდვის მომარაგების განყოფილების გამგის მოადგილეს ამხ. მიქელოვს.

## ქრონიკა

◆ **26 მაისის მომწყობი კომისია.** დღეს, 11 მაისს, საღამოს 8 საათზე, რევკომის ბინაზე (სასახლეში) დანიშნული 26 მაისის დღის მომწყობი კომისიის სხდომა.

## მკითხველის წერილები

**პროვოკაციას და პროვოკატორებს ბოლო უნდა მოეღოს!..**

არა თუ პროვინციებში, არამედ თვით საქართველოს სოციალისტურ რესპუბლიკის დედა ქალაქშიაც—თბილისშიაც კი ყოველ ფეხის გადადგმაზე ათას ნაირი პროვოკაციული ხმები და ჭორები იმის: „თბილისში რევკომი ჩამოუგდიათ და მეთერმეტე ჯარის შტაბი გამეფებულა, ფ. მახარაძის მაგიერ კიროვი დაუნიშნიათ, მამია ორახელაშვილი თავისი ნაციონალური პოლიტიკისთვის ჯარს დაუჭერია და ციხეში ჩაუსვამს... ყველგან რუსებია სათავეში და ბრძანებლობენო“. ასეთი და ათასი სხვა პროვოკაციები ვრცელდება დღეს ლობე-ყორე! ვინ ავრცელებს ამას? ვის ან რის სარგებლობისთვის სჩადიან ამას შავი პროვოკატორები? ისედაც დაშინებულ ხალხს რად არ აძლევენ მოსვენებას და გამოფხიზლებას? მუშათა კლასიდან გარიყული, ეს ვაჟბატონები მოედვნენ გლეხობას, ქალაქის განაპირა უბნებს, დაეხეტებიან და ამღვრევენ წყალს, რომ შემდეგ ღვრია წყალში თევზი იჭირონ. ესენი ცნობილი ვაჟბატონი მენშევიკები ბრძანდებიან. ისინი საქართველოს ხალხის ნაცარცვით და ნადავლით დასუქებულნი, ჯიბე გასქელებულნი, რა თქმა უნდა ხარჯებს არ უშინდებიან! დიდ მუშაობას ეწევიან და რაიმე ავანტიურის გამოწვევით ფიქრობენ ფონს გასვლას და კვლავ ბატონობას.

ჩვენი მთავრობა, მათ როგორც ცოცხალ ლეშებს ანგარიშს არ უწევს, ისინი ათასგვარ ქსელებს აბამენ. „მუშაობენ“; მაგრამ... იცოდენ, რომ ყველას მიეზღვება კუთვნილებისამებრ. არ ისვენებენ, არც ჩვენ გვძინავს. ვნახოთ ბოლოს ვინ გაიცინებს...

გედი მეავანაძე.

## მასწავლებელთა საორგანიზაციო ბიუროსაგან

**თბილისის ყველა სასწავლებლებს, სახალხო უნივერსიტეტს, სახალხო სახლებს, ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს, მუზეუმებს, საბავშო ბაღებს, თავშესაფარებს და კოლონიებს, სამეცნიერო დაწესებულებებს, ტეხნიკური და პროფესიონალურ სასწავლებლებს და მათ კანცელარიებში მოსამსახურეებს.**

როგორც უწყით, უნდა შედგეს ახალი კავშირი „განათლების და სოციალისტური კულტურის მუშაკთა“. ამის შესახებ იყო განმარტება, როგორც პრესის საშუალებით, ისე ადგილობრივ საორგანიზაციო ბიუროს წევრების მიერ. ყველა დაწესებულებებს უნდა აერჩია ადგილობრივი კომიტეტები და სათანადო ოქმი მოსამსახურეთა სიის თან დართვით უნდა წარმოედგინათ საორგანიზაციო ბიუროში. მაგრამ დღემდე ბევრ დაწესებულებას ეს არ შეუსრულებია, რაც დიდად აფერხებს ახალი კავშირის ორგანიზაციის საქმეს. ამიტომ საორგანიზაციო ბიურო ერთხელ კიდევ სთხოვს ყველა ზემორე აღნიშნულ დაწესებულებებს, რომ დაჩქარებით წარმოადგინონ საჭირო საბუთები საორგანიზაციო ბიუროში. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი დარჩებიან კავშირის გარეთ, რაც მათთვის იქნება არა ხელსაყრელი. ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება 9—3 საათამდე გარდა უქმეებისა, მასწავლებელთა სახლში, დამფუძნებელი კრების ქ. № 5 (ყოფილი ქართული კლუბი).

საორგანიზაციო ბიურო.

## პროფესიონალურ კავშირებში

### მედაბაღეთა კავშირში.

სრულიად რუსეთის პროფკავშირის ყრილობაზე გასაგზავნად კავშირის მიერ ამორჩეულია ამხ. ბოჯაევი. მედაბაღეთა პროფკავშირის დელეგატ წევრების კრებაზე ამხ. კოხსაძეს მოხსენების შემდეგ მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია: „მოვისმინეთ რა მოხსენება მიმდინარე მომენტის შესახებ, ჩვენ ტყავეულობის წარმოების წარმომადგენელნი მოგესალმებით საქ. რევკომს, კ. პარტიას და წითელ ლაშქარს, რომლებმაც განათავისუფლეს საქართველოს მშრომელი ხალხი საქართველოს ბურჟუაზიულ მთავრობის ბატონობისაგან.

ტყავეულობის წარმოება-სადარგვილია სახელმწიფო წარმოებისა, ამიტომ კრებამ მიზნათ დაისახა არ დაზოგოს თავისი ძალ ღონე წარმოების ნაყოფიერების მაქსიმუმამდე აყვანისთვის, რათა პროლეტარულ ხელისუფლებას არ შეხვდეს დაბრკოლებანი. გამოეცხადოს დაუნდობელი ბრძოლა კონტრევოლიუციონერებს და ნესაბოტაჟეებს და გაკრულ იქნენს ისინი სამარცხვინო ბოძზე. ამასთანავე კრებას საჭიროთ მიაჩნია განამტკიცოს და გააფართოვოს თავისი რიგები შინაურ მტრებთან და იმპერიალისტებთან ბრძოლისთვის. გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოში. გაუმარჯოს წითელ ლაშქარს. გაუმარჯოს მე-3 კომუნისტურ ინტერნაციონალს. გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციას.

ახლო მომავალში მოწვეულ იქნება საქართველოს დაბაღთა კონფერენცია.

### თამბაქოს ქარხნებში მომუშავეთა კავშირში.

სრულიად რუსეთის პროფკავშირების ყრილობაზე დასასწრებლად არჩეულია ამხ. არნაუტოვი. თამბაქოს ქარხნებში მომუშავეთა კავშირის უადგილო მუშა-მოსამსახურეების კრებამ დაადგინა: რადგანაც ხშირია ხოლმე უმუშევართა მიერ უარის თქმა ხმა თუ იმ სამუშაოზე, კავშირიდან გამორიცხულ იქმნენ ხოლმე ის უმუშევარნი, რომლებიც უარს იტყვიან მიცემულ სამუშაოზე.

### მელითონეთა კავშირში.

5 მაისს არსენალში მოხდა მრავალ რიცხოვანი საზოგადო კრება, რომლის დროსაც ამხ. როხლინმა წაიკითხა მოხსენება საბჭოთა ხელისუფლების სატარიფო პოლიტიკის შესახებ და ამხ. კილოსანიძემ — საბჭოთა ხელისუფლების მიზანზე სახალხო განათლების საქმეში. მოხსენების შემდეგ, კრებამ ერთხმათ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ესალმებიან და იწონებენ ტარიფის დარგში მიღებულ ღონისძიებას და ჰპირდებიან საბჭოთა ხელისუფლებას ყოველნაირ დახმარებას ქვეყნის საწარმოვო ძალების აღდგენისა და განვითარების საქმეში. კრებამ გამოთქვა აგრეთვე მხურვალე სურვილი, დახმარება გაუწიოს კავშირის კულტურულ განყოფილების მუშაობას.

### მონადირეთა კავშირი საქართველოში

საქართველოს მონადირეთა კავშირში შევიდა 700 ზე მეტი წევრი. კავშირმა უნდა შეასრულოს დიდი როლი საქართველოში მონადირეების მოწესრიგების საქმეში მონადირეობის ახალ კანონისა და ახალ წესების შექმნაში, ნადირის დაცვასა და გამრავლებაში და სხვა. კავშირი აპირებს მონადირის დღეების გამართვას.

### საამშენებლო მუშების კავშირში

15 მაისს მოწვეულ იქნება ქალ. თბილისის საამშენებლო მუშების კონფერენცია.

### კომუნალურ მეურნეობის და შინაურ მოსამსახურეთა კავშირში

კომუნალურ მეურნეობის ხალხის კვებების და შინა მოსამსახურეების კავშირების გამგეობათა წევრების შეერთებულ სხდომაზე, რომელიც მაისის 5 მოხდა, დაადგინეს: 1) შინა მოსამსახურეების ცალკე კავშირის არსებობა, როდესაც კავშირები არსდებიან წარმოებით პრინციპის თანახმათ, შეუძლებელია, ამიტომ ეს კავშირი უნდა მოისპოს და მისი წევრები ჩაეწერონ კომუნალურ მეურნეობის ხალხის კვების და კულტურის სექციის კავშირებში. ეს განაწილება უნდა მოხდეს წარმოებითი პრინციპის თანახმათ, ამიტომ ეს კავშირი უნდა მოისპოს და მისი წევრები ჩაეწერონ კომუნალურ მეურნეობის, ხალხის კვების და კულტურის სექციის კავშირებში. მეეზოვენი და დარაჯები, რომელნიც ირიცხებიან შინა მოსამსახურეებად კავშირში, რიცხვით 1000 კაცამდე, უნდა გადავიდნენ კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა კავშირში.

## მუშათა ცხოვრება

### ულუფის მიმღებთა რაოდენობა.

მუშათა მაგიდის ცნობებით თბილისში ულუფას იღებენ მუშათა მაგიდის საშუალებით: მუშები და მოსამსახურენი 31,364, მათი ოჯახის მოზრდილი წევრები—22,553, ბავშვები ხნოვანებით 5 წლამდე—6 724 და 6 წლიდან 16 წლამდე—19430, ხოლო სულ—80,071. ცენტრალურმა სასურსათო ბიურომ შეამოწმა ეს რაოდენობა იმ ცნობების მიხედვით, რომელიც ბიუროს მიაწოდეს საბინაო კომიტეტებმა და ამ ცნობებითაც მუშათა მაგიდის საშუალებით ულუფის მიმღებთა რაოდენობა ადის 80,000-მდე.

მუშათა მაგიდა ამჟამათ აძლევს პურს, ქალ. თბილისის ყველა დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშებსა და მოსამსახურეებს, რომელნიც განაწილებულნი არიან შემდეგ კატეგორიებათ: 1) საბჭოთა დაწესებულებათა მუშები და მოსამსახურეები, 2) კერძო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა მუშები და მოსამსახურეები, 3) მუშები და მოსამსახურეები იმ დაწესებულებათა, რომელნიც შემთხვევით იღებენ პურს. პირველი კატეგორია პურს იღებს უფასოთ, მეორე კატეგორია იღებს იმ პირობით, თუ ყოველ მუშაკი და მას ოჯახისათვის ყოველთვე შეიტანს 15,000 მანეთს და მესამე კატეგორია იღებს ნისიათ ან ნაღდ ფულზე.

პურის სამართლიანათ გასანაწილებლათ პირველ და მეორე კატეგორიის შორის დაწესებულებებში ადგენენ სიებს, რომლებშიც აღნიშნულია ულუფათა რაოდენობა. პურის დარიგების გასაადვილებლათ ყველა დაწესებულებანი შეერთებულნი არიან ცალ ცალკე ჯგუფებათ, სულ მუშათა მაგიდაში 105 ჯგუფია. დაწესებულებანი, შეერთებულნი ჯგუფებათ ირჩევენ ჯგუფის წარმომადგენელს, რომელიც იღებს და ურიგებს პურს დაწესებულებათა რწმუნებულებს.

### ბათუმის მუშათა შორის.

თამბაქოს ქარხნების, კოლოფების სახელოსნოსი და დამოენის არტელის მუშა მოსამსახურეთა საზოგადო კრებამ, ქ. ბათომში, გამოიტანა რეზოლიუცია, რომლითაც კრება ერთხმად გამოსთქვამს, მთლიან ერთეულად გაერთიანების და ყოველი ძალღონით საბჭოთა ხელისუფლების, ამ მშრომელთა ინტერესების ერთად ერთ გამომსახველს და მფარველის დაცვის სურვილს. ყველა ქარხნებსა და სახელოსნოებში ამორჩეულია ქარხნების და ადგილობრივი კომიტეტები.

### მე-5 რაიონის მუშათა მიტინგი.

პირველ მაისის მოედანზე გაიმართა მე-5 ე რაიონის მუშათა საზეიმო მიტინგი მიმდინარე მომენტის და პირველ მაისის შესახებ. მოხსენების შემდეგ კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „მივაჩნია რა რომ პროლეტარიატის დიქტატურა წარმოადგენს მუშათა კლასის და მთელ კაცობრიობის, კაპიტალიზმის მრავალ საუკუნიან ეკონომიურ და პოლიტიკურ მონობისაგან განთავისუფლების ერთად-ერთ საშუალებას, რომ საბჭოთა ხელისუფლება, როგორც მუშათა და გლეხთა ხელისუფლება, წარმოადგენს ერთად-ერთ მისაღებ ფორმას სახელმწიფოებრივ ხელისუფლებისა, რომელსაც დასახული აქვს მიზნათ საერთაშორისო ბურჟუაზიის ჩამოგდება, მე-5 რაიონის მუშათა საზეიმო მიტინგი უგზავნის მხურვალე სალამს მსოფლიო პროლეტარიატს და მის მებრძოლ შტაბს მესამე ინტერნაციონალს, რუსეთის ძლევამოსილს პროლეტარიატს და მის ბელადებს ლენინს, ტროცკის, ზინოვიევს და ახალგაზრდა საბჭოთა საქართველოს მთელს პროლეტარიატს და მის ბელადს ამხ. მახარაძეს. მუშათა მიტინგი ფიცსა სდებს რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებს მსოფლიო კაპიტალიზმის ბატონობის ჩამოგდებისთვის და მსოფლიო საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად და აღუთქვამს ყოველგვარ დახმარებას საბჭოთა აღმშენებლობის საქმეებში. გაუმარჯოს 1-ლ მაისს როგორც მსოფლიო პროლეტარიატის სოლიდარობის სიმბოლოს, გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას და მის მებრძოლ შტაბს მე 3 კომუნისტურ ინტერნაციონალს. გაუმარჯოს მსოფლიო საბჭოთა ხელისუფლებას, გაუმარჯოს ახალგაზრდა საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკას. გაუმარჯოს პროლეტარულ რევოლიუციას და მის მეთაურს კომუნისტურ პარტიას. გაუმარჯოს კომუნიზმს.

## პროვინციაში

**პირველი მაისის დღესასწაული მანგლისში.**

აპრილის უკანასკნელი კვირა ცუდი ამინდები დაიჭირა, 30 აპრილს საშინელი წვიმა მოდიოდა მთელი დღე, რამაც ძლიერ დაგვაღონა.

ძლივს გვედ რსა პირველი მაისი თავისუფლათ გვედღესასწაულა და ai აქაც ბუნება ხელს გვიშლის, გამბობდით ჩვენ მწუხარებით.

მაგრამ თითქოს ბუნებამაც იგრძნო ჩვენი გულის ტკივილი, გათენდა პირ-

ველი მაისი, ბრწყინვალე მზემ უხვათ მოფინა თავისი სხივები არე მარეს. მშვენიერი დილაა.

დღესასწაულის მომწყობი კომისია დაიყო ოთხ ნაწილათ და გაემგზავრა ს პრიუტში, ახალსოფელში, თონეთში და თვათ მანგლისში, სადაც იყო დანიშნული მიტინგები.

მანგლისი მორთულია საუცხოვოთ ხალიჩებით გირლიანდებით და წითელი დროშებით, პლაცზედ გამართულია ტრიბუნა სურათებით და დროშებით მორთული.

დილის 10 საათია, 26 მაისის ქუჩაზედ გამოჩნდა ახალგაზრდა კომუნისტებთა რაზმი დროშებით რევოლიუციონური სიმღერით, სხვა და სხვა ქუჩებიდგან თავს იყრიან მოსწავლეთა პროცესიები, კომიაჩეიკები, პროფკავშირები და სხვა. სრულ 12 საათზედ პლაცზედ აუარებელი ხალხი სდგას მწყობრათ და თავ-თავიანთ დროშით. ამ დროს გაისმა ინტერნაციონალის ხმა მო ღერალთა გუნდის.

1 საათზედ ამხ. ფეოსარი ხსნის მიტინგს პატარა სიტყვით. პირველათ გამოდის ტრიბუნაზედ ამხ. კობიძე „ცი-ლი" ესალმება მიტინგს პარტიის სახ ლით და აკეთებს ვრცელ მოხსენებას პირველი მაისის დღესასწაულის და მომენტის შეს ხებ. მერმედ ლაპარაკობს ამავე თემაზედ ამხ. რუბენი, ცაგურია და ახალ. კომუნისტების სახელით ამხ. სახაცკი. რის შემდეგ პროცესია გაივლის რამოდენიმე ქუჩებს და გაემართება ძმათა სასაფლაოსკენ სადაც დამარხულია ოთხი წითელი არმიელი. სადაც წარმოსთქვამენ სიტყვებს ამხ. ციმა—ელი კობიძე, და მაშჩენკო, ამხ. სახაცკი კომსომოლის სახელით, რის შემდეგ შესრულებულ იქნა ინტერნაციონალი.

პროცესია ბრუნდება ისევ პლაცზედ, სადაც გაიმართა ვარჯიშობა მოწაფეთა და ახალგ. კომუნიზმთა რაზმის.

პროცესია იშლება საათის 7-ზე და სახალხო სახლში იმართება უფასო ქართულ-რუსული წარმოდგენა, წარმოდგენილ იქმნა რუსულათ „შურის მაძიებელნი" ქართულათ „ადამ და ევა" წარმოდგენამ ძლიერ მწყობრათ ჩაიარა, ხალხი ძლიერ ნასიამოვნები დაიშალა ინტერნაციონალის სიმღერით. სახალხო სახლში ამხ. ჯაფარიძე მიესალმა ხალხს თბილისის ც. კ. სახელით და გააკეთა მოხსენება. საერთოდ დღესასწაული მოლოდინზე უფრო კარგათ ჩატარდა.

**გოგიტო ციმბირელი.**

## აბაშა

30 აპრილს პარტკომის და რევკომის ინიციატივით მოეწყო შაბათობა ბაღის გასაწმენდათ. შაბათობაში მონაწილეობა მიიღეს პარტიის წევრებმა, საბჭოთა დაწესებულებებში მოსამსახურეებმა, წითელ არმიელებმა და ახალგაზრდა კომუნისტებმა. უკრავდა მუსიკა. ბაღი ერთი საათის შემდეგ იყო გაწმენდილი. ტალახიან ადგილებზე დაიყარა ნახერხი.

იმ დღეს გამშვენიერებულ იქნა სხვა და სხვა ლამაზი ვარდ-ყვავილებით და ფოთლებით დაწესებულებანი.

პირველ მაისს, მიუხედავათ იმისა რომ იყო ავდარი ...და დილით ცუდი დარი, შეიკრიბა აუარებელი ხალხი, რომლებიც შემოდიოდენ წითელი დროშით და სიმღერით. აუარებელ ხალხთან ერთად მონაწილეობა მიიღეს წითელ არმიელებმა, კომრაზმმა და ახალგაზრდა კომუნისტებმა და ქალებმა, პირველ მაისის დღესასწაულზე წარმოსთქვეს სიტყვები წითელ არმიელთა სამხედრო კომისარმა ურიცკიმ, პარტკომის და რევკომის სახელით მ. კაჭარავამ, აბაშის რ-ის კომუნისტური ახალგაზრდობის სახელით გიორგი ფრანგიშვილმა და სხვა ორატორებმა. ორატორების შინაარსიანი სიტყვები, და ამ დიადი დღის მსოფლიო პროლეტარიატის დღესასწაულის დახასიათება დიდ შთაბეჭდილებას სტოვებდა დამსწრეზე, და მშრომელმა ხალხმა ნათლად დაინახეს, რომ მეორე ინტერნაციონალის ბურჟუაზიულ იდეოლოგიისაგან და მენშევიკების ბორკილებისაგან განთავისუფლებულები ამ დღეს დღესასწაულობენ გაახლების ცხოვრების გარიჟრაჟზე. ორატორები დაჯილდოებულ იქნენ მხურვალე ტაშით და მუსიკა უკრავდა „ინტერნაციონალს".

მიტინგის შემდეგ გაიმართა პარადი და მხიარული ხალხი თანდათან იშლებოდა.

ადრე საღამოს საუგურში შემოვიდა სენაკიდან ორთქმავალი რამოდენიმე ვაგონით გამშვენიერებულ სენაკელ ამხ. პირველ მაისის დღესასწაულზე წარმოსთქვეს მოკლე სიტყვა და გაემართენ ფოთისაკენ.

დილით 10 საათზე გაიმართა საბავშო დილა. საღამოს სცენის მოყვარე, წითელარმიელთა მიერ წარმოდგენილი იქნა პიესა: „Накануне" მუშების ცხოვრებიდან. უფასო წარმოდგენას დაესწრო აუარებელი ხალხი და უადგილობა იწვევდა წესრიგის დარღვევას და წარმოდგენის მსვლელობის შეფერხებას.

2 მაისს ახლად დაარსებულ დრამატ. წრის მიერ გაიმართა პირველი წარმოდგენა ბ. ჯაიანის რეჟისორობით. წარმოდგენის დაწყებამდი ითქვა სიტყვები: ხელოვნებაზე, თუ როგორ ყურადღებას აქცევს საბჭოთა მთავრობა თეატრს, წესრიგის დაცვაზე და რა არის მიზანი და დანიშნულება ახლად დაარსებული დრ. წრის. წარმოდგენილ იქნა: „თავისუფლების გარიჟრაჟზე" (დრამ. სურათი), „ადვოკატთან" (კომედია). დასასრულ იყო დივერტისმენტი. წარმოდგენამ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა დამსწრეებზე და საუცხოვოდ ჩაიარა, მაგრამ აი ეს შთაბეჭდილება იკარგებოდა ხოლმე, როდესაც აუდიტორიასთან ერთად მოთამაშეს გაეცინებოდა...

დრ. წრემ რომ დასდგას უფასო წარმოდგენები, ხელოვნების საყდარში მოიყვანოს მშრომელნი, რომლებიც მოკლებული არიან თეატრალურ ხელოვნებას, სადაც ისინი იპოვიან თავიანთ სულის საზრდოს და იწმინდება ცხოვრების ყოველი უარყოფითი მხარეები, ქუჭყი, იმედია წრეს, როგორც საზოგადოებრივ განვითარების როლი ამსრულებელს მუშურ გლეხური მთავრობა დაეხმარება ყოველ მხრივ. ვუსურვებ დრ. წრეს ენერგიულ მუშაობას.

**ვარდი.**

## ახმაურდენ

(წერილი რედაქციის მიმართ)

ჩემი სოც. ფედერალ. პარტიიდან გასვლის განცხადების გამო გაზ. „სოც.-ფედერალისტის" № 54 მოთავსებულია ახალგაზრდა სოც. ფედ. კავშირის გამგეობის თავმჯდომარის გედეონ სვანიძის სიმართლე დამახინჯებული, დემაგოგიური წერილი, სადაც პირველ ბრალდებათ ჩემი უპრინციპობაა წამოყენებული.

„როდის იყო ა. ასათიანი მართალი", ამბობს ავტორი, მაშინ როდესაც, როგორც სოც.-ფედერალისტი სტუდენტი და მასთან კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, მოუწოდებდა სტუდენტობას ჯარში ჩაწერილიყო და სხვ., თუ დღეს, როდესაც სოც.-ფედერალისტთა პლატფორმას აღარ იზიარებსო". ვთქვი მე ეს სიტყვები ამ სახით? გადაჭრით ვამბობ, რომ არა. მე როგორც კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ვალდებული ვიყავი გამეხსნა კრება; იქ ინფორმაციის სახით აღვნიშნე ფაქტი დაწყებული ომისა და ვაუწყე კრებას, რომ პარტიულ ბიუროებთან დგება რაზმები სადაც მსურველებს შეუძლება ჩაწერა. აი დედა აზრი იმ მოკლე სიტყვისა რომელიც მე კრებაზე ვთქვი იმ დღეს. ბ. სვანიძის აზრით გამოდის რომ მე 24 თებერვლამდი ვიყავი ნამდვილი ფედერალისტი და შემდეგ კი „გავკომუნისტდი".

რასაკვირველია ეს დიდი შეცდომაა.

საერთაშორისო ომისგან გამოწვეულ —საერთო ეკონომიურ-პოლიტიკურ კატასტროფის დროს რუსეთის ოქტომბრის რევოლიუცია მე მიმაჩნდა ერთად ერთ ნამდვილ ყველა ქვეყნის პროლეტართა გამათავისუფლებელ რევოლიუციათ კაპიტალიზმის ბატონობისაგან და რამდენადაც მე ღრმად ვიყავი დარწმუნებული მის საერთაშორისო ხასიათში, იმდენად აუცილებლად ვთვლიდი, რომ საქართველოს მშრომელი მასები ვერ დარჩებოდა ამ გიგანტიურ კლასთა ბრძოლში განზე მაყურებლად და ადრე თუ გვიან იძულებული უნდა გამხდარიყო კაპიტალიზმისა და კომუნიზმის შორის გამართულ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ან ერთ ან მეორე მხარეს მიკედლებოდა.

დიახ, ეს ჩემი შეხედულება რუსეთის რევოლიუციაზე კერძო საუბარში მითქვამს როგორც თითონ ბ. სვანიძისათვის, ბოლშევიკების აქ შემოსვლამდი, ისე სხვა, ასე ვთქვათ მოწინავე ამხანაგებისთვისაც, რომლებიც დარწმუნებული ვარ, თუ საჭირო გახდა, ამას დაადასტურებენ. ასე ვფიქრობდი მე აქამდისაც და ფაქტიურათ კაი ხნის კომუნისტების თანამგრძნობი გადავდიოდი რა მათთან, ვიცოდი, რომ გუშინდელი ამხანაგები ქვა-გუნდას მომაყრიდენ ამისთვის, მაგრამ მტკიცე შეგნებით მეშჩანურ პოლიტიკურ ცხოვრებას ვამჯობინე იმ რიგებში სიკვდილი, სადაც, უანგარო რწმენით სავსე, ყველა ქვეყნის პროლეტარების საუკეთესო მებრძოლები იღუპება ბარიკადებზე ბრძოლაში და კაპიტალის ბატონობისგან განთავისუფლებული რაზმები ქმნიან ნამდვილ შრომის სამეფოს.

ასეთი იყო და არი ჩემი შეხედულება და განა ეს უპრინციპობაა?

წინააღმდეგ, სრული უპრინციპობა და უდისციპლინობა თქვენი სტუდ. პარტიული ორგანიზაციის არასოდეს არ გამოაშკარავებულა ისე როგორც დღეს, როდესაც ბ. სვანიძეებისთანა ხელმძღვანელების წყალობით არ იცავს არა თუ გასამართლების იურიდიულ მხარეს, არამედ უბრალო პარტიულ ეთიკის მოთხოვნილებასაც კი ფეხებით სთელავს და პასუხისმგებელ პარტიულ ამხანაგებს დაუსწრებლათ, გაუფრთხილებლადაც კი რიცხავს პარტიულ ორგანიზაციიდან. განა ეს უდისციპლინობა არ არი?! განა უპრინციპობა არ არი ის, რომ ორგანიზაციიდან რიცხავთ ისეთ პარტიულ ამხანაგებს, რომლებიც პოლიტიკურ საკითხში საჭიროთ იცავდენ დროებით მთავარ კომიტეტის შეხედულებას, მაშინ როდესაც მთავარ კომიტეტს, რომელსაც თქვენ მიჩნჩალებთ უკან, ეს საკითხი კონფერენციის მოწვევამდი ღიათ აქვს დატოვებული?!

რათ ხდება ასეთი თქვენი პარტიული უდისციპლინობა? ცხადია იმიტომ რომ გზა აბნეული სტუდ. ორგანიზ. პარტ. „ლიდერები" წინასწარ შეთითხნილი ინტრიგით ზხამავს აქამდი რადიკალურათ განწყობილ სტუდენტობის მასსას. განა სამწუხარო არ არის ის მოვლენა რომ უკანასკნელ სოც. ფედერ. კონფერენციაზე სახელმწ. უნივერ. ფედერალისტ სტუდენტების წარმომადგენელი შ. კიკნაძე მემარცხენე მიმდინარეობას აძლევდა ხმას და დღეს კი მისივე თანამოაზრე ამხანაგები „ლიდერები" ამ მემარცხენეობას ასამარებენ?!

შემდეგ, ამბობს სვანიძე; ა. ასათიანი (და მასთან ერთად ქ. ხუნდაძე) თითონ კი არ გასულა პარტიიდან არამედ გააძევესო". დიახ, ჩვენ დიდი ხნიდან გადაწყვეტილი გვქონდა პარტიიდან გასვლა, მაგრამ თუ აქამდი დავრჩით ეს იმიტომ რომ ამხანაგებიდან პასუხის საგებ ადგილებზე ვიყავით გაგზავნილი და უცდიდით წლიურ არჩევნებს, თუმცა მე პირადად ფრაქციაში განვაცხადე, რომ ჩემი მოვალეობიდან (გამგეობის თავმჯდომარეობიდან) გავენთავისუფლებიეთ.

რას დემაგოგობთ ბ. სვანიძე, ჩვენ გამოგვრიცხეთ სტუდენტურ პარტიულ ორგანიზაციიდან და არა სოც. ფედერალისტთა პარტიიდან: და, ჩემი განცხადება სწორეთ პარტიიდან გასვლას შეეხებოდა.

კიდევ აღსანიშნავია, რომ მთელ წერილში არსად არ ამბობს ავტორი თუ რისთვის გაგვრიცხა პარტ. ორგანიზაციამ, „უპრინციპობის", „შეუფერებელ საქციელისთვის" თუ სხვა რამისათვის?! ბ. სვანიძე დემაგოგიური ხრიკებით განგებ მალავს და ეშინია ალბათ მისი თქმა, რომ ჩვენ პარტიულ კრებამ გაგვრიცხა (რაც ოქმშია აღნიშნული) როგორც არა „სოც. ფედერალისტთა პარტიის პლატფორმაზე მდგარი", „როგორც კომუნისტები".

დასასრულ გასაკვირველი ის კი არ იყო როდესაც სრული ჩემი შეგნებით ვიზიარებდი რა მშრომელთა განთავისუფლების ერთად ერთ გზას სოციალურ რევოლიუციას, ჩემს განცხადებას ბეჭდავდა გაზ „კომუნისტი"-ს რედაქცია, არამედ ის რომ თქვენ და ძმანი თქვენი სოც ფედერალისტთა დრ. მთავარ კომიტეტის ხელმძღვანელებს ზიზღს უცხადებთ, არ იზიარებთ მათ პოლიტიკურ პლატფორმას და ასეთი პარტიის რედაქცია თქვენ წერილს ათავსებს თავის გაზეთის ფურცლებზე.

ვნახოთ ბ. სვანიძეებო ვინ იქნება „რევოლიუციის ხუმარები", ჩვენ, რომლებმაც აშკარათ დავგმეთ ძველი უდისციპლინო, უპრინციპო გზა, თუ თქვენ, რომლებიც, აქამდისაც პოლიტიკურ აჩრდილებათ სულთ მობრძავნი რევოლიუციის ქარტეხილმა დაუნდობლად, სამუდამოდ გადაგყარათ ისტორიულ სანაგვეზე.

სახ. უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირის გამგეობის ყოფილი თავმჯდომარე **ანტიოხ ასათიანი.**

## ფოსტა

**ყველა პარტიულ ორგანიზაციებს პროვინციაში.**

**ამხანაგებო! ამ მომართვის გაცნობისთანავე პარტიული ორგანიზაციის პირველ კრებაზევე დააყენეთ საკითხი ერთი ან რამოდენიმე პასუხისმგებელ კორესპონდენტების არჩევის შესახებ. ამოირჩიეთ და გვ ცნობეთ რედაქციაში მათი ვინაობა. მათი მოვალეობა იქნება: სისტემატიურათ გზავნონ გაზეთში სათანადო კორესპონდენციები პარტიული, პროფესიონალური და საზოგადოებრივი ცხოვრებიდან. საჭიროა რომ ასეთი კორესპონდენტები იყვნენ ორგანიზაციის მუდმივ კონტროლის ქვეშ, რათა ასრულებდენ დავალებულ საქმეს. მასალისთვის პასუხისმგებელნი იქნებიან კორესპონდენტები და გამონაკლის სერიოზულ შემთხვევებში, თვით ადგილობრივი პარტიული ორგანიზაცია. იგულისხმება, რომ ასეთ საპასუხისმგებლო შემთხვევებში კორესპონდენტი უნდა მოქმედებდეს ორგანიზაციის აღმასრულებელი კომისიის ან ბიუროსთან შეთანხმებით.**

— საქართვ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოთავსებულია რუსთაველის პრ., № 22.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22. ტელ 5—74.

— 1-ლი რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136, თეატრი „ნაძალადევი" ტელ. 1—33.

— მე-2-რე რაიონის ბიურო მიხეილის ქ № 87. ტელ. 5—69.

— მე-3-მე რაიონის ბიურო - [illegible] ბარი, კახეთის მოედანი. 5—58.

— მე-4-ბე რაიონის ბიურო — [illegible] ქ. 29 „მუშათა კლუბის" შენობაში. 9—52

მე-5-თე რაიონის ბიურო — [illegible] ქუჩა.

— საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

**სარედაქციო კოლეგია.**

## განცხადებანი

**პროფესიონალური.**

საბჭოთა დაწესებულებების მომუშავეების პროფკავშირი წინადადებას აძლევს ყოფ. საკრედიტო დაწესებულებების მოსამსახურეთა, უფროს და უნცროს სახელმწიფო მოსამსახურეთა პროფკავშირების ყველა უმუშევარ წევრებს გამოცხადდენ სარეგისტრაციოდ კავშირის ბინაზე (მუშათა სასახლე, 4-ე სართული ოთახი 55) 10-დან 14 მაისამდე ყოველ დღე დილის 9 ს. ნაშუადღევის 2 ს. ვინც ნაჩვენებ დღეებში არ გამოცხადდება, ჩაითვლება კავშირიდან გასულათ. გამოცხადებისას აუცილებლათ წარმოდგენილი უნდა იქმნეს ძველი საწევრო ბილეთები.

1921 წ. 11 მაისს, საღამოს 5 საათზე, მოწვეულია საერთო კრება კავშირი „ნემსი"-ს წევრების.

ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა. კრება შესდგება [illegible] მუშათა კლუბის შენობაში, პლეხანოვის ქუჩა № 123.

**სხვა და სხვა**

ხუთშაბათს, 12 მაისს, გაიხსნება მასწავლებელთა კავშირის სასადილო, მასწავლებელთა სახლი, დამფუძნებელი კრების ქ. № 5, ყოფილი ქართული კლუბი სადილის მიღება შეუძლიათ მხოლოთ კავშირის წევრებს, სადილი მიიღება 2—5 ს. ჯერჯერობით სადილი განძრახულია 500 კაცისთვის. სადილი ორი კერძისგან ეღირება დაახლოვებით 400 მ. საჭიროა წინასწარი ჩაწერა სადილის მისაღებათ.

**კავშირის გამგეობა.**

# შეჯიბრება

## საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის ფულის ნიშნების ნიმუშების დამზადებაზე

ფულის ნიშნები დაიბეჭდება 30, 50, 100, 500, 1000, 5000 და 10.000 მან. ღირებულობის.

## შეჯიბრების პირობები:

1) ფულის ნიშნის ნახატები, ქართული ათას მანეთიანი ბონის ფორმატის ოდენა და სამი სხვადასხვა ნაირი წარმოდგენილი შეჯიბრებისთვის, უნდა იყოს დამთავრებულის სახით, ორივე გვერდებზე ორი ფერით.

2) ნიშნებზე უნდა იქნეს ქართულ, ფრანგულ, რუსულ, სომხურ და თათრულ ენებზე შემდეგი შინაარსის წარწერა: „საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის ფულის ნიშანი".

გარდა ამისა წარწერა „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით" ზემოჩამოთვლილ ხუთ ენაზე და აგრედვე ინგლისურ, გერმანულ და იტალიურზე.

3) ფულის ნიშნები უნდა იქნეს შესრულებული ქართულ სტილზე, რომელშიაც უნდა იყოს გამოხატული ჩაქუჩი და ნამგალი.

4) დაჯილდოვება: საუკეთესო ნიმუშევრისთვის მან. 500,000.—საშუალო მან. 300,000.—და შემდეგ მან. 200,000.

5) სრულიად დამთავრებული ნახატები შემსრულებლის ჰსევდონიმით ცალკე კონვერტში და ამ ჰსევდონიმის ვინაობის აღნიშვნით მეორე კონვერტში წარმოდგენილ უნდა იყოს ორივე. სახელმწიფო ქაღალდების დამმზადებელ ექსპედიციაში ექსპედიციის კომისრის სახელზე არა უგვიანეს მიმდინარე მაისის 25-სა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1-მდე.

**ფინანსთა სახალხო კომისარიატი.**

## თბილისის სამაზრო კომიტეტი

ც. კ. მიერ იქნა გამოყოფილი თ. კომიტეტიდგან თ. მაზრის კომიტეტი, 5 ამხ. შემადგენლობით. მაზრის კომიტეტი დროებით მოთავსებულია რუსთაველის პრ. № 22. ტელ. № 14, 70. მაზრის ყველა პარტიული საქმის შესახებ გთხოვთ მიმართოთ ზემოხსენებულ კომიტეტს.

თ. მ. კ. დრ. მდივანი: **ლ. სუხიშვილი.**

საქ. დროებ. მმართველი: **ი. ჯანელიძე.**

# ცხენოსან მილიციონერთა რაზმი

**თანახმათ მთავრობის ბრძანებისა, თბილისის ქალაქის მუშათა და გლეხთა მილიციასთან არსდება ცხენოსან მილიციონერთა რაზმი.**

სასწრაფოთ ხდება ნახსენებ რაზმში ჩარიცხვის მსურველთა მიღება. მსურველთა შორის უპირატესობა მიეცემათ ცხენოსან ჯარის ნაწილებში სამსახურ გავლილთ. მიღების ყოველგვარი პირობების გაგება შეიძლება მიმღებ კომისიის თავმჯდომარე, მილიციის უფროსის მოადგილე ამხ. ვ. თათეიშვილთან, ყოველ დღე, დილის 10—1 საათ.

მიმღებ კომისიის თავმჯდომარე
მილიციის უფროსის მოადგილე **ვ. თათეიშვილი.**

## დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირის გამგეობა

ამა წლის 15 მაისს დილის 11 საათისთვის, იწვევს კავშირის წევრთა

# საერთო კრებას

**განსახილველია შემდეგი საკითხები:**

1) ძველი გამგეობის მოხსენება;
2) დროებითი გამგეობის მოხსენება;
3) სარევიზიო კომისიის მოხსენება;
4) კავშირის რეორგანიზაცია;
5) შრომის ბევრა;
6) გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები;
7) მიმდინარე საკითხები.

წევრთა დასწრება სავალდებულოა. კრება კანონიერათ ჩაითვლება, დამსწრე წევრთა რაოდენობის მიუხედავათ, ვინაიდან ის მეორეთ ინიშნება.

**კავშირის გამგეობა.**

## კურსებზე მეცადინეობის დაწყება

საქართველოს სახალხო მეურნეობის მთავარი საბჭოს სამთო განყოფილებასთან არსებული სამთო ტეხნიკურ კურსები ამით აუწყებს მსმენელთ, რომ მეცადინეობა კურსებზე დაიწყება სამშაბათ 10 მაისს.

ლექციები იწყება საღამოს 6½ საათიდან. პრაქტიკული მეცადინეობა 4½ საათიდან.

**კურსების გამგეობა.**

## ორგანიზაც. და დაწესებულებების საყურადღებოთ

ცხადდება, რომ გაზ. „კომუნისტში" დასაბეჭდი განცხადებები და ანგარიშები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე; სხვა ენაზე დაწერილი მასალა არ მიიღება.